


No V

ବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ  
ଶାସନ ପରିଚୟ

# କୃତିଗମ



1890

## ქურთული «ჯეჯილი»-სა:

|   | გვ. |
|---|-----|
| I. ლეგენდური, დექსი აკაგისა . . . . .                                       | 3   |
| II. მოგონება, ემსწერდობის ცხოვრებიდგან, არაგვის-პირებისა . . . . .          | 5   |
| III. ბეღურა ჩიტის ამბავი, ზოქა მდგიმელისა . . . . .                         | 13  |
| IV. ამბავი ქალისა და ვაჟისა, ზღვპარი . . . . .                              | 22  |
| V. ლომი და ვირი, იგავ-არავა . . . . .                                       | 33  |
| VI. ერთი ოჯახის უბედურება ტყე ში (ფრანგულიდგან) . . . . .                   | 34  |
| VII. ხალხური ლექსი . . . . .  | 45  |
| VIII. პატარ-პატარა სამეცნიერო წერილები, წ. II.<br>ილიქისი . . . . .         | 46  |
| IX. გელათის მონასტერი, გ. წერეთლისა . . . . .                               | 50  |
| X. წყლის სამეფო . . . . .   | 57  |
| XI. ოქროს-მატყლოვანი ვერძი და იაზონი, სლ. ჭიჭინაძისა . . . . .              | 66  |
| XII. სულელი ქრისტეფორე, (ფრანგულიდგან). . . . .                             | 70  |
| XIII. გუთნის-დედა (იგავი), სნ-მანისა . . . . .                              | 74  |
| XIV. ნათლიდედა და ნათლია, მოკლე ამბავი . . . . .                            | 74  |
| XV. ზრდილობიანი ჭაბუკი, მოკლე ამბავი . . . . .                              | 75  |
| XVI. ანდაზები. გამოცანები, შარადა, ღოგოგრიფი. რეზუსი და<br>სხვანი . . . . . | 76  |
| XVII. „მორბის არაგვი“, სიძლერა. ნოტებზე გადაღებული<br>ბაბილუსი . . . . .    | —   |



# ჯეჭილი

ს ა ფ ა ა წ ვ ი ლ ი ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი

ქ უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწვანე ჯეველინ,  
დაპურდი, გახდი ყანაო!  
.. ღ.

№ V.

წელიწადი პირველი



ტფილისი

სტამბა ივ. ა. შარტიროსიანცისა, ორბ. ქუჩა, სახლი № 1—2.  
1890.



Дозволено цензурою. Тифлісь, 21-го Августа 1890 года.



Типографія И. Мартirosianца, Орб. ул., д. № 1—2.



## ლ ე ბ ე ნ დ უ რ ი



მერთმა ბრძანა: „მზე და მთვარე  
 ახლდეს თამარ-დედოფალსო!  
 სხივს აფენდენ მის ღიდ გვირგვინს,  
 უნათებდენ გზა და კვალსო:  
 წარსულსა ჰქნავს, აწმყოს სოესავს,  
 მკას უმზადებს მომავალსო,—  
 არე-მარემ თაყვანი სცეს  
 ზეცის რჩეულს ნატყრის თვალსო!“

\* \* \*

ვინ ეურჩის ლვთის ბრძანებასა?!  
 არ გასტყდება უფლის სიტყვა!...  
 დამორჩილდა არე-მარე,  
 გადგა მხოლოდ გურგანის ზღვა:  
 არად უჩანს დიღი-მეფის  
 არც წყალობა, არცა რისხეა!  
 რას გულ-დიღობს? რად არ იცის,  
 მიადგება კარს განკითხვა?!

\* \* \*

წარბი შეჟრა დედოფალმა,  
 გაიშეირა მძლავრად ხელი,  
 ბრძანა ჯარის გამოწვევა:  
 ხელთ აიღონ ნამგალ-ცელი!  
 გადამჟონ და გადათიბონ



მინდორი, ტყე, მთა და ველი!  
თიგა უჩჩ ზღვას დააყარონ,  
გაუკეთონ თავ-სარქველი.



\* \* \*

„გაუხსენით ძარღვი ბაქოს,  
გამოუშვით კუპრის წყარო!  
„მინდა ზეთი ჯოჯოხეთის  
მოღალატეს დავაღვარო...  
„ცეცხლი მივსცე, ამოვაშრო,  
ბარით ძირი გაფუთხარო.  
„თავმან ჩემმან, ჩემი უჩჩი  
არ ეაცოცხლო, არ ვახარო!“

\* \* \*

ლეთის რჩეულის ბრძანებასა  
მხოლოდ შმაგი ვერ მიხვდება!  
იწევის კასპი კიდით-კიდე,  
ალი მაღლა ცამდე სწვდება!...  
გულ-დიდობა ყბედ-ლრიალას  
სინანულში ავიწყდება,  
შენდობას სთხოვს თამარ-მეფეს  
და მოხარკედ გაუხდება!..

აკაკი

(უმაწვილობის ცხოვრებიდგან)

## I



კირა დილით ძილში სტენა შემომესმა. საჩქაროდ ლოგინიდგან წამოჟტი და ხერანგა გარედ გავუგარდი. მეც გავუსტვინე. ერთი კიდევ გამოუსტვის ნეს და შემდეგ სტენა აღარ გაუმჯორებიათ. მე შინ შევბრუნა დო ტანისამოსის ჩასაცმელად.

ქე, სოსომ, შაქომ და გიგლამ სამწერაოდ წასვლის პირობა შევგარით. დედა ჩემი, როცა კი გაიგებდა, რომ მინუორმი წასვლას გააირებ, კვერდიდგან აღარ მიძორებდა და სულ იმას ცდილობდა, როგორმე შინ დავეჭირე. აი ამისა თვის დასამახებელ ნიმნად სტენა გვქონდა. დედა ამას ვერ მიშვედებოდა ხოლმე და მეც თავისუფლად გავდიოდი სოფლის გარედ, სადაც ჩემი ამხანაგები მიცდიდნენ.

ქალმის თასმებს ვიხვევდი, როცა დედა ჩემი შინ შემოვიდა. იმას ჩემი ასე არა-ჩვეულებრივი ადრე ადგომა გაუკიორდა და მკითხა:

—ეს როგორ მოხდა, შეილო, რომ ადრე გაგიდვიძნია?! ხომ არავინ იქო?

—ვინ უნდა ეოფილიყო, —ვუჩასუხე თავჩაღუნელმა. ვატეობდი ჩემ თავს, რომ ვწითლიდებოდი, და ამისთვის თავი მაღლა ვედარ ავიდე.

—უთუოდ წასვლას ააირებ სადმე და იმიტომ ეპრე გაფაციცებული იცვალ, —არ მესხნებოდა დედა ჩემი.



— სად უნდა ვარიოებდე? — გუთხარი და უფრო მძღვანელი გავწითლდი.

ჩატარა სანს სიჩუმე ჩამოვარდა. დედა ჩემი რაღასაც ფიქრობდა. ბოლოს მოვიდა ჩემთან ახლოს და მითხრა:

— შვილო, გულს ნუ მიხეთქავ!.. სხვების აერთია შენ არ გამოგადგება. გიგლისა და შაქროს რომ დასდევ, ასა რას მოვიტანს იმათი აეოლა. იმათ დედამაძეს იმათზე მეტი სხვებიცა ჰქავთ; შენ კი დედის ერთა მეუკარ. შენ რო მოვიყიდეს რამე, ხომ მეც თავს მოვიკლავ, თავს როგორ და ვიცოცხლებ!...

მე თავაზიდუნელი და ტუჩაძეებული ეურს კუპდებდი. მეორე ფეხსევ ნახევრად შემოსვეული თასმა სელში ისე დამრჩა.

— შენოდენს ქსლა მინდორში არ გაესვლება. გუშინ ახსაბაძიანთ დათა კინაღამ ცოვიან მაღლს დაეგლივა...

დედა ჩემმა ამ დროს თვალი მოჰკრა კატას, რომელიც საწველელის მიწაროდა და რძეს სლაბავდა.

— აცხა, აცხა!.. აი შე გერანავ შენა!.. დაუევირა კატას დედა ჩემმა და საწველელისენ გაემურა. კატა მირს გადმოსტოდა და გარედ გავარდა.

— ამ ვერანის შიშით თავაზიდილი ვეღარა დამიდგამს რა! — სთქა, საწველელის ჯამი დაჭირა, მერე მომიბრუნდა მე და მითხრა:

— სანდო! აქ იქავი, თვალუური დაიჭირე აქაურა ბაზე. მროხას გაგაბდებ ნახირში, ქსლავე უკან დავბრუნდები და გენაში წავიდეთ.



დედ ჩემი რომ გარედ გავიდა, მე ისევ ისე წილავით. მოძაონდა, რომ სამწევროდ უნდა წავსულიყავი, მაგრამ ჯმის სიტყვების როგორღაც დამაფიქრა და დამხორნა. ცო ფიანი ძაღლის ხსენებაზედ ხომ ტანში სულ ქრუანტელმა დამიარა. ერთი კვირის წინად დედ ჩემმა მიამბო, რომ ცო ფიან ძაღლს ერთი ქაცი დაებლივა და ის ქაცი გაცოვმა ბულიეთ: «მუცელში ძაღლის ლეპები გაუჩნდათ და სულ ერთიანად გამოაჭამეს გულადვიძლიო».

ეს სიტყვები გულში ჩამეჭრა, ეხლა ცოფიანი ძაღლის ხსენებაზედ მოძაონდა და არ ვიცოდი, შინ დავრჩენილ იქნა, თუ სამწევროდ წავსულიყავი. ბოლოს მაინც სამწევროდ წასვლის სურვილმა დამდგია. საჩქაროდ დავიხივი მეორე ქაღამნის თასმაც, ტახტის ქვეშ შევძერ და ჩემი ჭავლტი \*) გამოვიტანე.

ჰატარა ხანს შეძლებ მე და ჩემი ამხანაგები ლაპარაკით ორლობებე მივდიოდით მინდვრისკენ. უფრო სხალტებზე გვქონდა ბაასი. ეველანი თავ-თავის სხალტს და ჩვენს შარვე სროლის გაქებდით. გიშერა კი წინ მიგვიხტოდა. წავიდოდა შორის ხტუნაობით და სიხარულით. გარგად რომ დაგვშორდებოდა, უკრად შედგებოდა, შეჲევდა, მოტრიალუ დებოდა და ისევ ისე სტუნაობით ჩვენკენ წამოვიდოდა. მოვიდოდა, ეველას სათითაოდ დაგვსუნავდა, მოგვეალეოსებოდა და ისევ გახტევდა წინ.

მხემაც მთის წვერიდგან თავი ამოეო.

— ბიჭებო! — გვითხრო გიგლაძ: — ასე ადრიანად რომ

\*) სხალტი — ჯონია, რომელსაც გვერდებზედ დამწვეტებული ტოტები აქვს. კრწერილები ამას მწყერაობის დროს ხმაროს.



მიგდივართ, შვილოსა, რას გავაკეთებთ: სანამ ჰერცეგების,  
ხომ ვერ ვიძის ვიძისგვებთ!

— ჭრ და მინდორში რას გავაკეთებთ! — პური დაუბრა  
სოსომ.

— სანამ დაცხებოდეს, წეაროს ხირას ვითამბროთ, —  
გვიორჩია შაქრობ.

შველანი დავეთანხმენით და სტუნაობით წავედით კიდევ,  
მაგრამ ღობის ხირას მდგომარეობა მწიფე თუთამ შემვადენა.

— ერთი ამას შეხედეთ, ბიჭებო, რანაირად მწიფეს ეი!  
— წამოიძახა სოსომ, — მოდი ვჭამოთ.

— მართლა და რანაირადა მწიფეს! თამაშობას, შვილო-  
სა, ესა ვჭამოთ! — სოჭებ შაქრობ.

— ესადა რომ არის, — ვუთხრო მე: — მეველების თუ  
მოგვახრებ, მროხას დაგვიკვლენ.

ამ სიტყვებმა უველანი შეგვადენა და დაგვაღონა. მწიფე  
თუთა კი თავისებენ გვიზიდავდა. მოშორება აღარ გვინდოდა.  
სულმა წავვდლია, — შაქრობ აიღო ქვა და თუთას ესროლა.  
რამდენიმე მარცხალი ღობეს გარედ ჩამოცვიდა. ქორებივით  
დავხვინით და სახქაროდ ავრიფეთ.

— უჲ, უჲ, რა ტბილია! — ტუჩების ცმაცუნით და სია-  
მოვნებით ვიძახდით შველანი...

— ბებიანთ თუთაც მალიანა მწიფეს, — გვითხრა გიგლამ,  
— იქ წავიდეთ. მეველები რომ მოვიდნენ კიდევ, არას გვე-  
ტევიან. ბებებ მეველებს უთხრა: « გიგლას ნუ დაუმდითო ».

გიგლას ბებიანთ ვენანი იქვე ახლოს იქო. სიხრუ-  
ლით გადაგატით ღობებედ და იქით გავემურებით. გიძე-  
რაც თან გამოვეუვა..

შეა დღემ მოატანა. კაცხარებულები ვმწერაობდით. კი ქინით და სხალტების ქნევით, ერთი ნამკლიდგან ძეორები გადავრმოდით. თავასირზედ წურულით თველი ჩამოგვდიოდა. ჩვენ მაინც რაღაც სასიამოვნო სურვილი გვიზიდავდა და ძალას გვაძლევდა. თუმცა კარგა ხანძა გაიარა, რაც ვმწერაობდით და ეველას რამდენიმე მოკლეული მწერი, კარ მონადირებსავით, ქამრებზედ გვქონდა ჩამოკიდული, მაგრამ არც ერთს ჩვენგანს მაინც დასვენებაზედ ხმა არ ამოუდია, და თითქმის დაფლილობაც არ გვიგრმნია.

სიცხის გულზედ მწერი ბუზივით ამოდიოდა. ხანდის ხან ცხვირ წინ აგვივლიდა. ვინც კი მოასწრებდა, მამინვე უკან სხალტს გააეოლებდა, და მწერიც სხალტთან ერთად მირს ვარდებოდა ან ფრთა მოვარდნილი, ან თავამოკლევილი, ან კიდევ, როცა სხალტი მარჯვედ და მაგრად მოჭხვდებოდა, ზედ შეაზე გაგლევილი.

რა სიამოვნებით გვისტოდა გული, როცა მკვდარი მწერი მირს ჩამოვარდებოდა, და რანაირი სიხარულით მიურმოდით მწერის ასაღებად! რა თავამომწონედ დაგანხა-ხვებდით ხოლმე ერთმანეთს ჩვენგნით მოკლულს მწერს!

რაც უფრო ბერისა ვხოცდით, მით უფრო გვიცხოველ-დებოდა მწერაობის სურვილი, მით უფრო გვეხალისებოდა მწერაობა და მაღაც გვემატებოდა.

—ნახე, ნახე!.. ვუმასდით გიშერას, როცა მწერი აღარ აშევდიოდა.

გიშერაც გამაღებული დაქმებდა. ხანდისხან შესდგებოდა და გრო ადგილს დიდხანს კუდის ქნევით უჩქრდა. ეს



იმის ნიშნი იყო, რომ მწერის სუნი აიღო და გულის მწერის ქმებს. ჩვენც კარს შემოვერტემოდით და გულის ფანცქალით ველოდით მწერის ამოვრენას. გიმერა ხმირად უფრო გაგატეუებდა და მწერის მავირად თავვის სოროებს ეძებდა. ვანგებ კი არ ჩადიოდა ამას, არა,— თითონაც სცდებოდა, რადგან მწერის სუნსა და თავვის სუნს ერთმანეთში კარგად კერ არჩევდა.

ერთ სამკლის თავში გიმერამ კიდევ მოგვატეუა. ჩვენ გვეცილება, მწერის დააცქრდაო, და თავგმა კი ფეხებში გავირბინა.

— აი, შე ოხერო, შენა! — სიცილით დაგმახეთ ეველამ.

— ვა-ვა, ვა-ვა! ქვითუკირი, ქვითუკირი! — მოისმა ამ ღროს სამკლის ბოლოდგან მწერის მახილი.

— არიქათ, ბიჭებო, წავიდეთ იქით! დედა-მწერის ხმაა. რანაირ შეახედ იძახის! — გვითხრა სოსომ და გაიქცა ნამკლის ბოლოსკენ.

ჩვენც მაშინვე უპა გავმევით.

გიმერას ერთი ალიაქოთი შეუენეთ: «ჩახე, გიმერ, ნახე» და... «ჭაი — ჭაბა, ჭაი — ჭააა» — ს მახილს ერთმანეთს აღარ ვაცდიდით. საწეალი გიმერა სან ერთს შემოვგხედავდა და სან მეორეს. არ იცოდა, საით წასულიერ და ან როგორ დაწერ მებნა.

ბოლოს, როგორც იყო, მიაგნო მწერის კვალს და გაცხარებულმა დაუწეო მებნა... ავერ გიმერა შედგა, აიღო კუდი მაღლა, უკრები დაცქირტა, თვალები დიდად დაძლევა ტა და თავი წინ წაიდო! ჩვენ სული გავინაბეთ და გრის შემოვერტეით... ჩამოვარდა სიჩუმე... გულმა აჩქარებით და-



გვიწეო ფანცქალი... სუნთქვა შეგაუენეთ...

გიძერამ სახე შეიჭმუხნა, უკრად გადასტარ და წინა  
ტოტები მიწას მაგრად დაბარტეა... მოგვესმა რაღაც წრიპი-  
ნი. გიძერამ თავი მაღლა აიღო და იმის ნირში დავინახეთ  
საცოდავად გამომცემალი დედა-მწევერი.

რანაირი სიბრალული აღმერა გულში!.. ჩემ დღეში  
არ დამავიწევება იმისი ცრემლ-მორეული თვალები!

— «რა გინდათ ჩემგან, რა დაგიშვეთ, რად მისმობო  
სიცოცხლეს და შვილებს ობლად რად მიტოვებთ?!.. თუ  
თქვენ გინდათ სიცოცხლე, მეც მინდა ვიცოცხლო!» — თით-  
ქოს გვეუბნებოდა საბრალო მწევრი ამ საუკედურით სავსე  
სიტევებს.

გიგლა მაშინეუ მიჰებრად გიძერას და მომავალვი მწევ-  
რი ნირიდვან წაჟგლიჯა. საწელისთვის გიძერას კბილი შიგ  
გულში ჩაეყარა!

გიგლას დიდხანს ეჭირა ხელში და გამტერებით და-  
სცემოდა. ჩვენც ვარს შემოვეხვიერით და გახუმებულები  
შევცემოდით მწევრს. გველას ნადვლიანი სახე გვქონდა,  
გველას გულზე ლოდივით რაღაცა დაგვრწება.

მწევრი კი ძლივს-და სუნთქვდა. თავის ნატარა ჭრელ  
თვალებს მაღის ატანდა, თვალის ჭურუოებს რაც შეძლო  
სჭიმვდა, — ეტეობოდა, თვალთ უბნელდებოდა და ბუნდად-  
და ჭხედავდა.

— სანდოო, წავიდეთ ჩქარა შინ, — ძემომხედა თვალ-ცრემ-  
ლებნა გიგლამ და მითხრა: — დედაშენს პარგი მაღამო ეჭ-  
ნება, იქნება მორჩეს!

— რას აშბობ, ბიჭო, ეს ეხლავ მოკვდება, — გუთხარი მე-



გიგლაძე ერთი კიდევ დაჭინება მწერის.

— აჟა, დაიჭი!.. მომაწოდა მწერი და ქვითინი ამოუშო.

— თავი მაინც მოჭილივეთ, ნუ სტანჯავთ! — ტირილით გვეუბნებოდა გიგლაძე.

თავის მოგლევა ვერავინ გავიძევთ. მწერმა უკანასკნელად გადაბტრიალუგადმოატრიალა თვალის გაგლები, დაგვა-თვალიერა ვევლანი, თითქოს გვემვიდობებაო, და სამუდამოდ დახუჭა თვალები.

— ეს ვერანა, ესა!.. ტირილით ჯავრობიდა გიგლაძე გუ-შერაზე, — გულში რომ არ ეყბინა, არ იქნებოდა?!..

გიმერამაც იგრმნო თავისი დანაშაულობა და საცოდა-ვად მოიბუზა.

ჩვენ ვევლაძე გადავსწუვიტეთ მწერის დამარხვა. გავთხა-რეთ დრმად მიწა და მწერი ჩავფალით. ზედაც ნიმნად და-ღი ქვა დავადეთ.

დადონებულები წამოვედით შინ. გიგლაძე თავისი მო-კლული მწერები ჩვენ მოგვცა.

— მე არ მინდა! — ეს ვვითხრა გიგლაძე, რომ დავეკუ-თხენით, შენ კი არ გინდაო.

ამ სურათმა გიგლაზე ისე იმოქმედა, რომ მერე ჭიან-ჭველასაც კი არ დაადგამდა ფეხს. «ეგეც სულდემულიაო», — იტეოდა სოლმე. სახლში რომ ეხვეწნოს, ქათამს ვერ დააგ-ლევინებენ, თუმცა კი ის ეხლა წვერ-ულვარმით არის შემო-სილი.

ბ ე ღ უ რ ა - ხ ი ტ ი ს ა მ ბ ა ვ ი

(აზრი რ უ ს უ ლ ი დ გ ა ნ)

I



ალლებო! ყური დაშიგდეთ,  
გიამბობთ ზღაპრებს მრა-  
ვალსა,

გეტუეით პატარა ბელურას  
ზღაპრულ თავგადასავალსა.  
სცხოერობდა ქვეყნად ბელურა,  
ჩიტი პატარა ტანადა,  
ერთხელ მოფრინდა დედასთან  
და უთხრა ნალვლიანადა:

— დედილო, ნეტა რა მომდის?  
სევდა მაწვება გულზედა....

— „რა დაგემართა, გენაცვა,  
შეილო, უტკბესო სულზედა?“

— დღეს დილით აღრე გავედი  
ერთ პაწა ბალის პირადა,  
ყური მოვკარი, გალობდა  
ბულბული მეტად ტკბილადა.  
ხმა იშვიათი, ხმა ნაზი  
ცას ზარიერთა სწედებოდა;




სმენად გადიქცა მიდამო,  
თეით ნიავ-ქარიც დგებოდა.  
ლურჯ-ქობა შემოელებულმა  
თავი დაჭხარა იამა....  
ლიმილითა სთქვა ვიღამაც:  
— ეიშ! ეს ხმა რა რიგ მიამა!  
რა მშვენიერი რამ არის,  
ამ ხმას ვერ ასწერს ენაო!  
ყურს უგდებ, მაგრამ ვერ სძლები,  
არცა გწყინდება სმენაო!....

რა გავიგონე საქები ·  
სიტყვები ტკბილის ენითა, —  
„ამას ვინ იტყვის ჩემზედა“, —  
გულში წარმოვსთქეი წყენითა.  
რა ვარ ამ ქვეყნად, რა ვიტი  
მის ფასი, საბრალობელმა?  
რისთვისა მშობა ნეტავი  
მთლად უსარგებელო, მშობელმა?  
როდის გადმოვა ჩემზედაც  
მადლი ღვთისა და წყალობა?  
როს შემეძლება მეც ტკბილად  
ბულბულისავით გალობა?!

## II

გაეფრინდი ქვემოდ, დავეშვი  
ნერგზე გულ-დაშმარებული,  
ენახე იქ ჩიტი წყლის პირად  
ჭრელ-ფრთა, ყელ-მოლერებული.  
თავი აელო ამაყად,  
ერთ ალაგს არა დგებოდა;  
ხან ბანაობდა, ხან ცქვიტად  
ქვებიდგან ქვებზედ ხტებოდა.  
თვალი შეასწრო წანწყარას  
ქალმა წყლისაკენ მზირალმა,  
დიდხანს უყურა ფანჯრიდამ



ალერსით სახე მცინარმა  
და სთქვა: რა კარგი რამ არის  
ეს პაწაწყინა ჩიტიო!  
რა სასაცილოდ ბანაობს!  
რა კოპწიაა, ცქვიტიო!  
ხან თავს ისველებს, ხან ტანსა  
ხან ფრთებს ისწორებს წყნარაო!....  
ბალლებო, გამოიქეცით,  
ყველა აქ მოდით ჩქარაო!  
მოცვივდნენ ჟივილ-ხივილით,  
ჰკიოთხეენ, რა არის, დედაო?  
— შეხედეთ, როგორ ბანაობს  
ჩიტი წყლის ნაპირზედაო.  
— „მართლა?! სად არის„?.. ჰო, ეხედავთ...  
დედაჯ, რა მშევნიერია!  
ყველას სახეზედ ღიმილმა  
წითლად გადაჰქრა ფერია.  
ცეცხლი აენთოთ თვალებში,  
მოისმა ხარხარ-გრიალიო...  
დავლონდი, ფიქრი დავიწყე,  
გულმა დამიწყო ფრიალი.  
ბავშვების ტყბილი სიცილი  
ღიღხანს მესმოდა ზიანად  
და ვსთქვი: — ეინ მომეგებება  
მე ასე ალერსიანად?

### III

ამ მიღამოსაც მოვშორდი,  
გავფრინდი კიდევ ქვევითა;  
ერთ მაღალ სახლის გვირგვინზედ  
ჩუმად დავჯექ ჩევითა.  
აქ კიდევ ორი მერცხალი,  
გვირგვინის შუა გულზედა,  
ისხდნენ და ლაპარაკობდნენ  
ჭიკვიკით გაზაფხულზედა.



Ճա մատ կյեմռճամ քարարա  
Ճաշմզո, Ծուրոնա յնոտա,  
Շըսլոնոճա ճա մատ կոյքոյս  
Ոմյոհեթճա սրբենոտա.

Աղթալութելո Շըսեաեճա:

— Թյրկելոյեթո, կոյքոյս յնառ,  
Կորչելո ցածիաթելոյեթո  
Ցալոնծոտ մամբնետ ովայենառ!

Մոյցարև մյ յե քրո... ծալեցօ  
Ոմուսեցօն միշանոտա;  
Մինգուրո յութիուցեցօ,  
Վելո որտզեթո պանոտա;  
Տոռ էյրոն, երից ուոտուլո  
Ուոտուլո յեկայեցա Շիուլոտ;  
Այ հուրո ցալոնծո, ոյ վարո  
Կուլութեթո համոհօն հյիուլոտ.

Վայիշերոջ պաթվուլո ճա Շեմջաց  
Քարմռցետյո օնանեցօնոտա:—  
Հագում ծեղոյիրաս ամ կյեպնաճ  
Ար մոկեսեցեցն յեծոտա?  
Հագում ար մալ-մուս մոցեթո  
Կըլի ծայիշեցօն ցուլոտա,  
Տարցեթո մատուցոն սանաթրել,  
Կայլուցո ցածիաթելուտա?!

#### IV

Այ սրյամլո ֆասյժա ծելոյրաս,  
Շյմաթյեարո սյուլոտա.  
Ճելամ մոյցօ:— Եյ ճահօնա,  
Ար ցըմահուցեթո վիրոմա ցուլոտա,—  
Իւյն ար ցայյեթո նոյո սեցասացոտ  
Սատյել-սայեթո յնոտա,—  
Վեր ցայյուրութ կյեպնաս  
Շեն ծոյլծոյլոցոտ սրբենոտա,  
Վերը Շյեգորցո վանիվարաս,



შეიღო, შენ გარევნობითა,  
შენ სხვა ხარ, ის სულ სხვა არის  
დაბადებით და შობითა.

„არც შეგწევს მერცხალსავითა  
ხარება გაზაფხულისა,  
რომ ის მოდის და თან მოაქვს  
შეება და ლხენა გულისა.  
ჩვენ არ შეგვიყრის სიღიღე,—  
ვიყვნეთ კეთილნი გულითა,  
კეთილსვე ვსდიოთ ამ ქვეყნად  
ყოველგან სიხარულითა.

„ვაკეთოთ ის, რაც ყველასგან  
კეთილად ჩაითვლებოდეს;  
მეზობლებს ვასიამოვნოთ,  
რითაც კი შეგვეძლებოდეს;  
მოვკრიფოთ პურის მარცვლები,  
სადაც კი შევხვდეთ გარეთა,  
მოვურბენოთ სუსტ ჩიტებს  
და დაობლებულთ მწარეთა.  
მუსრი გავაელოთ ბალებში  
ხეებზედ ჭია-ღუასა...  
ჩვენ ნუ ავყვებით სხვასავით  
ზოგიერთების ჰქუასა.  
კეთილი შრომა, გენაცვა,  
სასარგებლოა ყველაზე;  
დევ ნუ გვქონდეს ტყბილი ხმა,  
ვიმღეროთ ჩვენ ჩვენს ენაზე,  
ვიმღეროთ, როგორც კი ვიცით,  
შეიღო, გალობა ჩვენაო  
და ჩვენც შეგვაქებს მღერისთვის  
ხალხის სმენა და ენაო....

„ერთხელ ერთ სახლთან, შრომისგან  
დაღალულ-დასუსტებული,  
მიველ და დავჯექ სარკმელზე,  
წყნარად ფრთებ ჩამოშეებული.





სახლ შიგნით იჯდა ჩუმადა  
ქალი მთლად გაყვითლებული,  
საკერავს დასჩერებოდა,  
მწარედ გულ აჩქოლებული.  
ისიც დაღლილი ჩემსავით,  
მთელი დღე საკერავითა,  
სარქმელის ჩარჩოს ცრემლის ღვრით  
გადმოვსვენა თავითა.  
ტიროდა, შეილო, საწყალი  
და ცრემლებს ღვრიდა მაზედა,  
რომ ბედმა მისცა მას მხოლოდ  
ტანჯვა ამ ქვეყანაზედა;  
რომ მხოლოდ შრომა-ტირილში  
ილევა მისი ქალობა....

„ამ ღროს მე ჩვეულებრივად  
დავიწყე წყნარად გალობა  
და, რა შეესმა ხმა ჩემი  
საბრალოს, მწარედ მტირალსა,  
დარღვიანს, ბედის მომჩინენს,  
ნაღვლიან გამომზირალსა,  
გაცოცხლდა, თითქოს იმედმა  
თავი შემოჰყო კარებში,  
ცრემლი მოიშრო, მომდგარი,  
მარგალიტივით, თვალებში,  
და მითხრა ლიმილ-სიცილით,  
შეილო, მან გულის ძერითა:

—შენ გადამყარე გულიდამ  
ყოველი დარღი მღერითა....

„სჩანს სასაჩვებლო ყოფილა  
ჩვენი გალობაც ღროზედა...  
იმღერე, შრომა განაგრძე,  
ნუ ნაღვლობ უბრალოზედა;  
სიტურფე, დიდი სახელი  
ყველას არ მისცა ზენამა,  
მაგრამ კეთილი საქმისთვის  
უნდა ვიცოცხლოთ ყველამა.“

მალე შეიგნო ბელურამ  
კეთილი სიტყვა დედისა,—  
დააგდო სევდა, დაიწყო  
სხეა გვარ გამოცდა ბედისა.

რა ინათებდა ტრედის ფრად,  
ჩიორა ფეხზედ დგებოდა  
და აკეთებდა, რაზედაც  
მას ხელი მიუწვდებოდა.  
მთელი დღე მარცვლებს ჰკრეფავდა,  
ერთ წუთსაც არა ჯდებოდა,  
მოჰქონდა სწეულ ჩიტებთან,  
სადაც კი ეგულებოდა.

ყველას თანაბარ უცქერდა  
ბელურა ალერსიანად,  
მზად იყო, ნაცნობებისთვის  
გული მიედლვნა მთლიანად...

მაგრამ როს ერთხელ მინდორში  
დახტოდა კენკვა-ჭამითა,  
თან ჩაატანა გავსილი  
რაღაც მარცვალი შხამითა.  
იგრძნო, რომ უახლოვდება  
სიკედილი დაუნდობელი,  
გაფრინდა წამსვე ბუდისკენ,  
მოსძებნა დედა-მშობელი...

საბრალო პაწა ბელურა  
იტანჯებოდა, კვდებოდა  
და, დედის გულზედ მიკრული,  
დედასვე ეკითხებოდა:

— „დედილო, მითხარ, შემეძლო  
სიცოცხლით ვისმე შველაო?.  
თუ ვიყავ სათნო, კეთილი,—  
გულ-ახდით მითხარ ყველაო.“  
— ჩემო პაწიავ! — მიუგო



და მოეხვია ფრთებითა:—  
ყველას უყვარდი, ჩიტები  
გიხსენიებდენ ქებითა...

— „ოჰ, მაგ სიტყვებით, მშობელო,  
გულზედ მომფინე მე ლხენა!“...  
აქ წყნარად თვალი მოხუჭა,  
აღარ დაუძრავს მას ენა....  
მოკვდა, და ყველა ჩიტები  
იძახდნენ დანანებითა:  
— ჩვენ მას ვუყვარდით, ჩვენც იგი  
დაემარხოთ მოწიწებითა.

## VI

გათენებისას მარხავდნენ,  
ყველა ჩიტს ცრემლი სდიოდა;  
მზე დალურემილი ღრუბლებში  
ფერ-მურთალად გამოსკვიოდა;  
ლურჯი ცის ზღუდე-კამარა  
იმოსებოდა შავითა,  
თავსა იხჩობდნენ იანი  
ცრემლში ცოცხალის თავითა.  
საგალობელ ხმას ნიავი  
მოსთქვამდა მგლოვიარედა,  
ყვავილი ყვავილს ეკროდა,  
ცრემლსა აფრქვევდა მწარედა.  
პატარა კუბო რვა მერცხალს  
წყნარად მიპქონდათ ფრთებითა,  
მწყრივად მისდევდა ჩიტების  
გუნდი მას მწუხარებითა.  
კუბო დაეწნათ ჩალისა,  
მოერთოთ ყვავილებითა,  
სხვა-და-სხვა გვარის გვირგვინით  
და მწვანე ბალახებითა.  
მინდვრად დამარხეს, ნერგის ქვეშ,  
ტირილს მოსთქვამდნენ წყობითა;

საფლავის გარე ჩიტები  
მოჯარდნენ ათასობითა.

იგლოვ-იტირეს... უეცრად  
შესწყდა ჩიტების ქრიალი,—  
ახლა გლოვის ხშით საფლავზე  
ბულბულმა მორთო ზრიალი:

—მოყვასნო, გვმართებს წუხილი,  
გლოვა და ცრემლის დენაო,  
აქ საუკუნოდ დაემარხეთ  
ქორფა ბელურა ჩვენაო!  
არ იყო დიდებულთაგან,  
არც სილამაზით ქებული,  
არც მომღერალი, გალობით  
გაზიად-გადიდებული;  
მაგრამ უყვარდათ ფრინველებს  
დიდ-პატარამდე ყველასა;  
შრომობდა დაუღალავად,  
ცდილობდა ღარიბთ შველასა,  
ავალმყოფს, დასწეულებულს  
მკურნალად გაუხდებოდა,  
ბეჩაეს, გაწირულს ბედისგან,  
ობოლს მტლედ დაედებოდა.  
ის იყო სათნო, კეთილი,  
სუყველა ებრალებოდა  
და აკეთებდა, რაზედაც  
გონება მიუწვდებოდა.  
და ოუმტა ბედმა უდროოდ  
მოკლა და დააზიანა,  
მაგრამ მის საქმე კეთილი  
დაგვავიწყდება გვიანა.

მღვიმელი

## ამბავი ქალისა და ვაჟისა

(ქართლში გაგონილი ნატალია ამირეჯიბისაგან).



ზღვაპარი

ყო ერთი კაცი დიალ მდიდარი და მოხელე დილის ქალაქისა. ჰქონდა უანგარიშო ხაზინა — ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარგალიტი. ცოლქმარი ბერდებოდნენ და ძე არა ჰყვანდათ; დღე და ღამ ღმერთს ევედრებოდნენ: ღმერთო, ერთი ძე მოგვეციო!

ისმინა ღმერთმა ვედრება მათი, და მიეცათ ვაჟი დიალ ლამაზი და მშვენიერი. ღმერთს დიდი მადლობა შესწირეს ამ მოწყალებისათვის. როდესაც მოიზარდა ყმაწვილი, დედ-მამაშ წაიყვანა და საფილოსოფოსო სასწავლებელში მისცა: ის იმოდენა ხაზინა და საცხოვრებელი ზედ გადააგეს შვილს და დიალ კარგი სწავლული გაზარდეს, მაგრამ თითონ კი ძლიერ გაღარიბდნენ, ისე რომ საჩქენსაჭმელი პურიც აღარა ჰქონდათ.

სოქვა ყმაწვილმა: — ჩემ დედ-მამას თავიანთი საცხოვრებელი ჩემ სწავლაზე გადაუგიათ, და სულ ტყუილი არ იქნება ჩემი სწავლა, თუ ჩემს მშობლებს არ ვუშველი და დაცემულს ოჯახს არ ავაყენებო. ისეთი რა მოვიგონო, რა მოვახერხოვო, — სწუხდა და ჩაფიქრებული დაიარებოდა ყმაწვილი.

უთხრა დედ-მამაშ ყმაწვილსა: — რადა ხარ, შვილო, დალონებულ-დაფიქრებულიო? თუ გაჭირვება გაქვს რამე, ჩვენ შენი ჭირის სანაცვლონი ვიყვნეთ, ოღონდ შენ ნუ შესწუხდებიო.

ყმაწვილმა უპასუხა: — მე ის მაწუხებს, რომ ამ ქვეყანას დადგომა აღარ შემიძლიან.

უპასუხეს დედ-მამამ: — როგორც გიჯობდეს, ისე მოიქმედეთ ულე  
ადგა ეს ყმაწვილიც, სახლი და კარი გაყიდა, თითონაც — შეკვეთი  
ზმა, დედ-მამაც შეკაზმა, წაიყვანა და წავიდა ამ ქვეყნიდგან. მავიღ-  
წენ ერთ ქალაქში, და უთხრა დედ-მამას შეილმა:

— ერთი სიტყვა მაქვს მოსახსენებელი და ვერ გამიჩედნია, რომ  
მოგახსენოთო.

უთხრა დედ-მამამ: — თქვი, შეილოვო!

შეილმა უთხრა დიდის მწუხარებით: — ამ ქალაქის ხელმწიფეს  
ცოტა ხნობით უნდა მიგყიდოთო.

რა ესმათ ეს შეილისაგან, ამოუჯდათ გული, დიალ მრავალი  
იტირეს და იმწუხარეს, მაგრამ უარის მაგიერ, ნება გაქვს შეილო-  
ვო, უთხრეს.

ვაჟი წავიდა ხელმწიფის კარზედა და კარის კაცებს უთხრა: — ტყვე-  
ები მყავს გასაყიდი და ხელმწიფე ხომ არ იყიდისო?

გაიგონა ეს ხელმწიფემ და უბრძანა: — მომგვარე ტყვეები და რას  
ითხოვო?

მოახსენა ვაჟმა: ერთი კარგი შეკაზული ცხენი, ერთი ხელმწი-  
ფის საკადრისი ტანისამოსი და კარგი იარაღიც მიბოძეო.

მოილო ხელმწიფემ და მისცა ყველა. ვაჟმა პირობა გამოართვა  
ხელმწიფეს, რომ ეს ტყვეები არ გამიყიდოთ, ამათ ფასს ერთი ოთ-  
ხად მოგართმევო. ხელმწიფემ გუნებაში გაიკვირეა, რომ შეწუხებით  
ევაჭრებოდა, მაგრამ ვერას მიხვდა.

ვაჟი წამოეიდა, დედ-მამა ტყვედ დარჩა. ჩუმად სტიროდენ  
და ვერას აცხადებდენ. მეორე დღეს მივიდა ვაჟი ხელმწიფესთან და  
მოახსენა ველრებით: ის ტყვეები მაჩვენე, მინდა-თავი დავალოც-  
ვინოვო. ხელმწიფე მიხვდა მაშინ, რომ ამის დედ-მამა ყოფილანო,  
და აჩვენა. როდესაც ნახა შეილმა თავისი დედ-მამა, მოქვეია, მწარედ  
ატირდა და უთხრა: ნუ დამწყევლით, ლოცვა თქვენი წამატანეოთ,  
ღვევის მაღლით, მალე დაგიხსნით!

დალოცეს და მწუხარებით გამოესალმენ ერთმანეთს, — შეილი  
დედ-მამისათვის ტიროდა და დედ-მამა შეილისათვის.

ვაჟმა ახსენა სახელი ღვთისა, შეჯდა ცხენზე და წაეკიტებული გზა გაიარა და, ერთს დიდ მინდობრში რომ მივიღა, ერთს ფაქტურაში შემოეყარა. მისცეს სალაში ერთმანეთს და დაიწყეს საუბარი, თავიანთ თავგადასავალი უთხრეს ერთმანეთს. ამ კაცმა რომ შეიტყო, დედ-მამა გაუყიდნია, უთხრა ყმაწეობა:

— მე ჩემი ხელმწიფის კარგი ყმა ვარო; ამამავალს ხელმწიფეს-თან მივალ, მიმაქვს გატანებული წიგნები, უნდა მივუტანო ხელმწიფესა და დიალ დიდ წყალობას მიზამსო. აწ შენ გხებავ, რომ ამნაირ საქმეში გამოცდილობა უნდა გქონდეს, შენ წაიღე ეს წიგნები და რა წყალობასაც ჩემთვის მოიღებდა, იმას შენ მოგცემსო.

გამოართვა ის წიგნები ამ ყმაწეობამა, მაღლი გადაუხადა,— გაიყარნენ და წავიდნენ თავ-თავის გზაზე. მაშინ მოაგონდა ამ ყმაწვილს თავისი დედ-მამა და დიალ ბევრი იტირა და იმწუხარა. ამ მწუხარებაში ცხენზედ ძილი მოუვიდა, და ცხენმა გზა დაკარგა.

გამოეღვიძა და ჰედავს, უდაბნო ადგილს სადღაც მოსულა. წყურვილი ჰკლავს ყმაწვილსაც და ცხენსაც, წყალი კი არსადა ჩანს. ბევრი ეძება და ახლოს ერთი ჭა იპოვნა, მაგრამ ამოსალები არა ჰქონდა რა. მოაგონდა სმ კაცის მოცემული წიგნები, ამოიღო,— მუშაბაში შეკრული იყო,— გახსნა, იმ მუშაბბით წყალი ამოიღო, დალია და ცხენსაც ასვა. ცოტა ხანს მოისცენა, დაფიქრდა და სოქვა თავის გულში: წავიკითხავ ამ წიგნებს, ფათერაკს არაფერში გავებაო.

გახსნა წიგნები და წაიკითხა. ეწერა ესრე: „ამამავალს ხელმწიფეს, მრავალს მოკითხვას და ნახვის ნატერას მოგახსენებ! ჩემი ამბავი და საქმე გასამხელი არ არის. ეს კაცი რომ აქ მომეკლა, უფრო შეერცევებოდი. ამ წიგნის მომტანი კაცი დიალ ურჯულო კაცი არის. ჩემ ქალს უზდელად მოექცა და, ქალაქში ხმა არ დავარდეს-მეტქი, ვერ მოვკალი. ეხლა შენთან გამომიგზავნია, თუ ჩემი ძმიბა და სიყვარული გაქვს, ეს კაცი მანდ მოკალი, რომ ამდენი სირცე-ვილი არავინ შეიტყოს“.

როდესაც ყმაწვილმა წიგნების პასუხი გაიგო, ღმერთს მაღლობა შესწირა და დედ-მამა დალოცა, რომ სასწავლებელში მიმცეს და



წიგნი მასწავლებო. წიგნები მაშინვე დახია და წყალში ჩაფარული ვითა მიერთოთ. ახსენა სახელი ღვთისა, შეჯდა ცხენზე, გზაც იპოვთა, წავიდა და ერთ ქალაქში მიეიდა. ნახა, დიალ ტურფა ქალაქი იყო, გაძლიერებული ხელმწიფე ჰპატრიონობდა. ყმაწვილი ჩამოხტა ერთ ღარიბ დედაბერის სახლში და ჰკითხა დედა-ბერს ქალაქის ამბავი, სამართალი, აღება და მიცემა.

დედა-ბერმაც უთხრა ამ ქალაქის ამბავი. ყოველივე კარგად შესატყობი არისო, მაგრამ უწინ ამას გეტყვიო: ამ ქალაქის ხელმწიფეს ერთი ქალი ჰყავს, დიალ ტურფა, ლამაზი და მეცნიერი, ცამეტის წლისაა ჯერ და ოთხმოცდა ცხრამეტი ხელმწიფის შვილი დაუხოციაო.

ჰკითხა ყმაწვილმა: — მიამდე, რა საქმეზე დაუხოცნია?

უპასუხა დედა-ბერმა: — შვილო, ის ქალი ამბობს: ვინც მე კუუთ და სიბრძნით მამერევა, იმას ქმრად შევირთავო, ვისაც მე მოვერევი, თავს მოექრი და შემოვავლებ ჩემს ჩარდახს გალავნადაო. ჰხო-ცავს ამდენ ყმაწვილ კაცებს და მომრევი ჯერ არავინ გამოჩენილა.

ყმაწვილმა რომ ეს ამბავი გაიგო, დიალ იამა და სიხარულით ის ღამეს ალარა სძინებია. დილაზედ ადრე ადგა, ახსენა სახელი ღვთისა, ჩაიცეა სახელმწიფო ტანისამოსი და წავიდა ხელმწიფის კარ-ზედა. კარის კაცებმა, უთხრეს: — ყმაწვილო, ფოთილად იყავ, რომ შენც არ მოგკლასო. ვაჟმა პასუხი არ მისცა და შევიდა ქალის სა-სახლეში. შეატყობინეს ქალსა: — ერთი ვაჟი მოსულა შენთან სალა-პარაკოდაო.

ქალმა კაცი გაუგზავნა და შეუთვალა: უნდა გასვა ის სასმელი, რომელიც მისმევია ოთხმოცდა ცხრამეტისოთვისაო.

ვაჟმა უპასუხა: — ნება ღვთისა ასრულდესო.

ქალმა დაუძახა თავის დედ-მამას, ნაზირ-ვეზირსა და სხვა დიდ-რონ თავადებსა და ეს პირობა დასდეს: თუ ქალი მოერიოს, თავი უნდა მოსჭრას ვაჟსა, თუ ვაჟი მოერიოს, ქალი ცოლად უნდა შე-ითოლოსო. დაუდგეს რქროს სკამი და დასვეს ვაჟი.

ჰკითხა ქალმა: — ეინ არის მამა შენიო?

მიუგო ვაჟმა: — ჰავა და ცეცხლიო.



ჰყითხა ქალმა:—ვინ არის დედა შენიო?

მიუგო ვაჟმა:—მიწა და წყალიო.

ჰყითხა ქალმა:—ვინ არის ბებია შენიო?

მიუგო ვაჟმა:—ის არის ბებია ჩემი, ვინც მე მხედავს და ვისაც  
მე ვერა ვხედავო, ის ჩემ ხმას ისმენს და მე იმის ხმას ეტ ვისმენ.

ქალმა სთქვა,—ეს ყმაწვილური სიტყვა-პასუხია, თავი დავა-  
ნებოთო, და კიდევ ჰყითხა:—ის სამი ვინ არიან, რომ დედისაგან  
არა შობილან?

მიუგო ვაჟმა:—ორნი ადამ და ევა არიან და მესამეც ის ვერძია,  
რომელიც მამა აბრაამს ზეციდამ მოუკლინა ღმერთმა ისაკისთვის.

ქალმა ჰყითხა:—ის ვინ იყვნენ, რომ ქვეყნად იყვნენ, სვეს და  
ჭმეს და არ დაიხოცნენ კი?

მიუგო ვაჟმა:—ეგ ენუქა და ელია არიანო, რომ ანტეს \*)  
მოსვლამდე არ მოკვდებიანო.

ქალმა ჰყითხა:—ის რა ფრინველი არის, ქერსა და ბალახს რომ  
სჭამსო?

მიუგო ვაჟმა:—ეგ კალია არისო.

ჰყითხა ქალმა:—ის რა იყო, რომ სანამ იცოცხლა, ქერი და ბზე  
ჭამა, მოკვდა და ადამიანის სისხლი სვა და ხორცი ჭამა?

მიუგო ვაჟმა:—ეგ ის არის, სამსონ ჭაბუკმა რომ ეირის ყბა  
აიღო ხელში და იმითი ათი ათასი კაცი მოკლა.

ჰყითხა ქალმა:—ის რა იყო, რომ შტო და ფურცელი ჰქონდა  
და მასუკან სისხლი და ხორცი შეისხა?

მუგო ვაჟმა:—ეგ მოსე წინასწარ-მეტყველის ჯოხი იყო: შტო  
და ფურცელი ჰქონდა და მერე, გველათ რომ გარდაიქცა, სისხლი  
და ხორცი შეისხა.

ჰყითხა ქალმა:—ის ვინ იყო, რომ თავის დედ-მამამ უთხრა, —  
მე ქალწული ვარო?

მიუგო ვაჟმა:—ეგ აბელის გვამი იყო, —როცა საფლავთან მა-  
იტანეს, მიწამა სთქვა: მე ქალწული ვარო.

\*) ანტექრისტე.

ჰკითხა ქალმა:—ის ვინ იყო, რომ თოთხმეტი წელიწადზე მწიფობა ჰქონდა, მეთხუთმეტე წელიწადში ავად გახდა, ოცდა ათის წლისა რომ შეიქმნა, მოკვდა და შემდგომ ისევ გაცოცხლდა?

მიუგო ვაჟმა:—ეგ მთვარე არისო: თოთხმეტს დღეს იესება, მერე იღევა, რამდენსამე დღეს აღარა ჩანს და მერე ხელახლად იბადება.

ჰკითხა ქალმა:—ის რომელი საფლავი იყო, რომ იძეროდა და იარებოდა.

მიუგო ვაჟმა:—ეგ იონა წინასწარ-მეტყველი იყო, რომ თევზმა ჩაყლაპა და იარებოდა ზღვაში.

ჰკითხა ქალმა:—ის ვინ იყო, საჭმელი არა სჭამა და მიმტანი შექამა?

მიუგო ვაჟმა:—ეგ დანიელ წინასწარ-მეტყველი იყო, არწივს რომ მიუტანეს შესაჭმელად,—დანიელს ხელი არ ახლო არწივმა და მიმტანი შექამა.

ჰკითხა ქალმა:—ის ვინ იყო, რომ მოკვდა, —არც ტანი მისი საფლავში ჩავიდა და არც სული მისი ღმერთთან წავიდა?

მიუგო ვაჟმა:—ეგ ლოთ მამამთავრის ცოლი იყო, ქვათ რომ იქცა: არც ტანი საფლავში ჩავიდა, არც სული მისი ღმერთთან წავიდა.

ჰკითხა ქალმა:—ის ვინ იყო, რომ არც ადამიანი იყო, არც ეშმაკი და, რომ ჩაჰქოლავდნენ, ელაპარაკებოდა ადამიანსა?

მიუგო ვაჟმა:—ეგ ერემია წინასწარ-მეტყველის კლდე იყო, —როცა ჩაჰქოლავდნენ იმ კლდეს, მაშინ დაიწყებდა ლაპარაკს და ეტყოდა: მე ვარ ერემია წინასწარ-მეტყველიო.

ჰკითხა ქალმა:—ის ვინ იყო, რომ ელჩად გაგზავნა ღმერთმა და არც ანგელოზი იყო, არც ადამიანი, არც ეშმაკი.

მიუგო ვაჟმა:—ეგ ყვავი იყო, ადამთან რომ მოვიდა, როცა კაენმა აბელი მოკლა. —ადამმა არ იცოდა, რა ექმნა მკვდრისოვის, —მივიდა ორი ყვავი, ერთმა მეორე მოკლა და მიწაში ჩაფლა. ადამმა ეს რომ ნახა, ისიც ეს მოიქცა.

ქალმა უთხრა ვაჟსა: ადექ და წადიო; დღეს ხომ მამირჩი ჩემის ხელიდგან და ხვალ კი ვეღარ გადამირჩებიო. ამ რიგად აშინებდა ქალი.

მიუგო ვაჟმა: თუ ღმერთმა დღეს გადამარჩინა, ხელისუფლაშ  
მარჩენსო, და წავიდა სიხარულით. ცოცხალი რომ ნამეს კარის კა-  
ცებმა ეს ვაჟი, დიდად გაუკვირდათ.

წავიდა ვაჟი თავის სადგომსა და ნახა, რომ დედაბერი მწუხა-  
რედ ტირის. როდესაც დაინახა დედაბერმა ყმაწვილი, გაეხარდა დი-  
დად და უთხრა:—შეილო, მშეიღობით მამიხველო? შენ ახლა და-  
იბადე დედის მუცლილგან! მე აღარ მეგონა, თუ იქადგან ცოცხალი  
გამოხვიდოდი! მე შენის ნაღვლით ვკვდებოდი!

ვაჟმა უპასუხა,—ღმერთმა გადამარჩინაო.

მეორე დღეს ყმაწვილმა ჩაიცა ტანთა, ახსენა ღმერთი და  
მიერთა ისევ ქალის სასახლეში და სალაში მისცა. დაუდგეს ოქროს  
სკამი და დასვეს იგი ვაჟი.

ჰერთხა ქალმა:—რომელნი არიან, რომ ერთმა მეორე მოკლა,  
მკვდარი ჯოჯოხეთში წავიდა და მკვლელი სამოთხეში?

მიუგო ვაჟმა:—ღმერთმა მოკლა კაენი, კაენი ჯოჯოხეთშია და  
ღმერთი სამოთხეში.

ჰერთხა ქალმა:—ის რა ადგილი იყო, რომ რაც ქვეყანა გაჩნდა,  
იმ ადგილს მზე არ მისდგომოდა და ერთხელ კი მიაღვა?

მიუგო ვაჟმა:—ეგ წითელი ზღვის ძირი იყო:—მოსე წინასწარ-  
მეტყველმა რომ განაპო, მაშინ მიაღვა მზე.

ჰერთხა ქალმა:—ის რა იყო, რომ დედალი მამლისაგან იშობა?

მიუგო ვაჟმა:—ეგ ევა იყო, აღამის გვერდილგან რომ დაიბადა.

ჰერთხა ქალმა:—ის ორნი ვინ არიან, რომ ერთმანეთი სძულო  
და უერთმანეთოდ კი ვერ გაუძლიათ?

მუგო ვაჟმა:—ეგ სული და ხორცი არისო.

ჰერთხა ქალმა:—ის ვინ იყო, რომ არც სვამდა და არც სჭა-  
და და როცა მოკვდა, წყალი სვა და მიწა ჭამა?

მიუგო ვაჟმა:—ეგ მოსე წინასწარმეტყველის ჯოხი იყო: სანამ  
ჯოხი იყო, სასმელ-საჭმელი არ უნდოდა, როცა გველად გარდაიქცა,  
მაშინ წყალი სვა და მიწა ჭამა.

უთხრა ქალმა:— ადეგ და წადი, დღესაც გადამირჩი შენ უკლევ  
გასმევ სასმელს, რომელიც შენი ამხანაგებისთვის მისმევია.  
მიუგო ვაჟმა,— ღმერთი მოწყალეა, — და წავიდა ბინაზედ.

მესამე დღე გათენდა. მივიდა ყმაწვილი ქალთან, სალამი მისცა.  
დაუდგეს ოქროს სკამი, დასვეს იგი ვაჟი.

ჰკითხა ქალმა:— ორი მოამბე გაგზავნეს, არც იყვნენ კაუნი,  
არც ანგელოზი და არც ეშმაკნი?

მიუგო ვაჟმა:— ეგნი ყვავი და მტრედი იყვნენ, ნოებ რომ გა-  
გზავნა ამბის მოსატანად, ქვეყანაზედ ხმელეთი თუ არისო; წავიდა  
ყვავი, ლეშვედ დაჯდა, მტრედმა ზეთისხილის შტო მოტეხა და მიუ-  
ტანა ნოეს.

ჰკითხა ქალმა:— ისინი ვინ იყვნენ, რომ მისირში შევიღნენ ექვს-  
ასნი და გამოვიდნენ ექვსასი ათასნი?

მიუგო ვაჟმა:— იაკობ მამამთავრის შეილები იყვნენო: ეგვიპტე-  
ში რომ წავიღნენ ექვსასნი იყვნენ, და მოსებ კი ეგვიპტიდამ ექვსი  
ათასი ებრაელი გამოიყვანა.

ჰკითხა ქალმა: ის რა სამი საქმეა, რომ ამ ქვეყანაში არ იხსე-  
ნებიან?


მიუგო ვაჟმა:— სამნი საქმენი არიან: პირველი— ზღვას სარქველი  
არა აქებ, მეორე— ცას ბოჭი არ შეედგმის, მესამე— ფრინველი რძეს  
არ მოიწველს.

ქალს შეეშინდა ვაჟისა და უთხრა, — წადი, დღესაც გადამირჩი  
და ხეალ მაღრიელს გაგისტუმრებ საიქოსაო. — აშინებდა ქალი.

მიუგო ვაჟმა:— ჩემი საქმე ღმერთზედ შემიგდია, ის გამარინებს  
შენის ხელიდგანაო, და წავიდა სიხარულით.

გათენდა მეოთხე დღე და წავიდა ყმაწვილი ქალთან. სალამი  
მისცა, დაუდგეს ოქროს სკამი, დასვეს იგი ვაჟი.

ქალმა უთხრა, ახლა თქვენ ბრძანეთო.



ჰკითხა ვაჟმა: — ის ვინ იყო, რომ მდიდარი გაგლაზაფრულავი სიგლახაკით შეიმოსა, თავის დედ-მამაზედ შეჯდა და წავიდა, სიმღი-დრე უნდოდა ეშოვნა; მოეწია გზაზე სიკედილი, აიღო იმან სი-კვდილი ხელითა და სიკედილით წყალი ასვა ცხენსაცა და თითონაც დალია, იცოცხლა და ცხენიც აცოცხლა?

ქალმა პასუხი ვერ მისცა და უთხრა: — ადეგ, წადი და ხვალ მოგცემ მაგის პასუხსაო.

წავიდა სიხარულით ვაჟი თავის ბინაზედ.

ქალმა უბძანა თავის მოახლეებს: — დაკალით ორი ქათამი, მუ-ცელი გატენეთ შაქრით და მიხაკ-დარიჩინით და შესწეითო, ორი თუნგი ღვინოც წამოიღეთ, შეიდის წლისა იყოს, ძალოვანით, სხვაც გემრიელი სანოვაგე და თეთრი პურები ჩაალაგეთო.

რომ მოამზადეს, ლამპრები აანთეს და ხელმწიფის ქალი და მასთან ორი სხვა ქალი წავიდნენ სანოვაგეთი იმ ყმაწეილთან, რო-დესაც ყოველ სულს ეძინა. მივიღენ და დაურეკეს კარი. გამოვიდა კარზედ ვაჟი და უთხრებს ქალებმა: ბატონის კარის ქალები ვართ და სა-ქმისთების მოვედით შენთანაო.

ვაჟმა უთხრა: — ეგ ტყუილი სიტყვებია, თქვენ, ხელმწიფის კარის ქალები, ჩემთან არ მოხვიდოდით, და საიდგანაც მოსულხართ, იქვე წადითო.

ქალებმა შექვიცეს და უთხრებს, — მანამ არ გნახავთ, აქედგან ვერ წაეკალთო.


ვაჟმა ნახა, რომ არა გაეწყობა რაო, გაულო კარი და შეიყვანა.

ხელმწიფის ქალმა პირ-სახურავი გადიხადა და უთხრა: გაქვს რამე საჭმელი, მოიტანე ვჲამოთ და ესვათ და გავიხაროთო.

ვაჟმა უთხრა: — ღმერთმა იცის, არაფერი მაქსე, და არც მოვი-ფიქრებდი, თუ მობძანდებოდით, თორებ თქვენს საკადრისს საჭმელს მოეამზადებდიო.

ქალმა უბძანა მოახლეებს, მოიტანეთ, რაცა გაქვთო.

გაშალეს სუფრა მოახლეებმა, მოიღეს სასმელ-საჭმელი და და-წყეს სმა. ქალი ამაღადებდა და ასმევდა შეიდის წლის ღვინოსა და



ათრობდა ყმაწვილსა. ყმაწვილი მართლაც ძალიან დაითვალისწინებული კალმა იღროვა და უთხრა ვაჟსა: — თუ ჩემი პატივი გაქვს, გუშინ რომ სიტყვა მკითხე, ის გამამიცხადეო.

ვაჟმა უარ ჰყო, მაგ სიტყვას ვერ გეტყვი და სხვა რაც გნებავს, მკითხეო.

ქალი არ დაეხსნა, ეხვეწებოდა და ვაჟაც მოუყვა და უამბო თითო სიტყვად თავისი თავ-გადასავალი, — ეგ მე ვარო, — და ამ ლაპარაკში ჩაეძინა.

ქალი მაშინვე ადგა, თავის მხლებლები გაიყოლა და შინ წავიდა გახარებული, რომ მთერალს სიტყვა დასტყუა. მაგრამ სიჩქარით ქალს ზედ-მოსახურავი ყმაწვილთან დაპრჩა.

ვაჟმა რომ გაიღვიძა დილითა, ნახა იმასთან აღარავინ იყო და, ქალისაგან მოტყუებული, დიდად დაღონდა და შესწუხდა. ადგა, ააწყნარა თავისი ქვეშაგები, მიიხედ-მოიხედა და, რა ნახა, რომ ქალს ზედ-მოსახურავი იქ დარჩენოდა, დიდად გაიხარა და სოქვა: — მაღლობა შენ, ღმერთო, დღესაც გადამარჩინე სიკედილსაო, — ადგა და წავიდა ქალთან. შეეიდა და ქალს სალაში მისცა. დაუდგეს ოქროს სკაში და დასვეს ივი ვაჟი.

ქალმა მოიწვია დედ-მამა, ნაზირ-ვეზირი და თავადები და უთხრა ვაჟსა: — გიოხრა, გუშინ რაც მკითხეო?

მიუგო ვაჟმა: — ბძანეთ, ბატონო!

ქალმა უთხრა ამ ყმაწვილს იმისი თავგადასავალი, რაც იმისგან ვე მოესმინა.

ყველანი დიდად ჰყენირობდნენ, ეს რა მეტნიერია, რომ ამ ყმაწვილის თავ-გადასავალი გაიგოვო. მაშინ ქალმა უბძანა ნაზირ-ვეზირსა, წაიყვანეთ და თავი მოსჭერით.

ვაჟი ადგა, თავი დაუკრა ხელმწიფეს და დარბაისელთა და მოახსენა: — მაგ ქალმა სამ დღეს მკითხა სიტყვა და, ძალითა მღვოთისათ, ყოველზე პასუხი მივეციო; მე ერთხელ ვკითხე, და ძლიერს დაარღვია ის კითხვაო, და ეხლავე ჩემი სიკედილი მოინდომა. აბა ერთს სიტყვას კიდევ ვკითხავ, — თუ ამისხნის, ეგ მომრევია და რაც ნებავ-

დეს, აასრულოს, და თუ ვერ მამცემს პასუხსა, მე მოვრევენაზოგ, და  
რას მემართლებით.

ყველამ სთქვეს, დიალ კარგი სიტყვა არისო, მაგრამ ერთხლის  
მეტად კითხვა არ შეიძლებაო.

ჰკითხა ვაჟმა:—ის რა იყო,—ერთ უცხო ფრინველთან ორი  
ფრინველი სხვა იყო, დავიჭირე, გავპტყვენ, შევწვი, უნდა შემეჭამა  
და ანაზღად გამიფრინდნენ; თუ არ დაიჯერებთ, იმის ბუშბულსაც  
გაჩვენებთო?

ქალი მიხედა, რომ ეს ამის ნამოქმედარი საქმე იყო, შერტვა  
და უპასუხა:—ეგ დიალ ძნელი გამოსაცნობი კითხვა არისო, მე მა-  
გის პასუხი არ შემიძლიანო, რაც საჩუქარი გინდა, ითხოვე და მი-  
იღე ჩემგანაო.

უპასუხა ვაჟმა:—მე საჩუქარი რად მინდა,—შენ ჩემი ხარ და მე  
შენიო.

ეს ყველა დარბაისელთ მოეწონათ და ეაფსა და ქალს გვირგვი-  
ნი უსკენეს. ხელმწიფემ თავის სახელმწიფო დაულოცა ქალსა და სი-  
ძესა. ყმაწვილმა გაგზავნა კაცნი, დაისხნა დაგირავებული დედ-მამა და  
მოიყვანა თავისთან. ქალის დედ-მამა დაიხოცნენ და ვაჭის დედ-მამა  
ჰპატრიონობდნენ ქვეყანასა. დედა-ბერიც დაადგინა თავის დედის მგზა-  
სად, პატრიონობდა ყმაწვილი ესრედ დედა-ბერსა.

ლომი და ვირი მთნადირენი

(იგავ-არაკი ფედრისა \*)



ომმა ვირს უთხრა: წამოდი,  
მანდ რასა გდისარ უქმათო?  
მე ვინადირებ და შენ კი  
გამომადგები ბუქათო...  
წავიდა ლომი, ნადირობს,  
ვირსაც სომ თან იახლებსა;  
ვირი მსახურებს: სან-და-ხან  
დაუეროვინებს ძაღლებსა.  
რა ესე საქმე ვირისა  
სხვა ვირმა ისმინ-იუკრა,  
მოუხსათრებლად შესმახა:  
«რას უვირი, მმაო დიღეურა?»  
— «როგორ დიღეურა!» — მან უთხრა:  
«როგორ მიბეჭავ მაგასო?  
ლომის ბრძანებას ვასრულებ,  
სომ არ ვაბივარ ბავასო!»  
— ლომის ბრძანებას!.. შერე რა?  
სხა წენარად გამოგმცაო?  
რას მედიდები ძაგითი,  
შენც ვირი სარ და მეწაო!

\*) ფედრი რომაელების გამოჩენილი მწერალი იყო იგავ-არაკებისა.



ერთი თჯახის უბედურება  
ტექნი

## I

**Y**რთ ტყეში, რომელსაც, ცოტა მოშორებით, ერთ მხარეს, წყალი ჩამოუდიოდა, სცხოერობდა კურდლის ოჯახობა. კურდლებს არა აწუხებდათ რა, რადგან ტყე სოფლებზე კარგად მოშორებული იყო და ხალხი ამ ალაგას ხშირად არა ჰქვდებოდა.

ოჯახს შეადგენდა, დედ-მამის გარდა, ოცდა თექვსმეტი პატა- რა კურდლელი. ამ ოცდა თექვსმეტში მხოლოდ ერთი იყო დედ- მამის ურჩი და ცელქი. სახელად ამას შავუნას ეძახდნენ, რად- გან შავი ფერი გადაჰკრავდა და ამ ფერი კურდლები ხომ იშ- ვიათნი არიან.

დედა ძალიან ნაღვლობდა და სწუხდა, რომ შავუნა ასეთი მო- უსვენარი და ურჩი იყო: —თავის ხასიათის გამო ისე არ გადარჩება, რამე უბედურებაში გაებმისო.

ერთხელ დედამ დაუძახა ერთ თავის უფროსს შვილს, რომე- ლიც სხვებზედ უფრო გონიერი იყო, და უთხრა:

—ჩემო ბამბა-ქულავ, შავუნა შენთვის ჩამიბარებია, ყური უგ- დე... დატუქსე ხოლმე, თორემ, რა ვქნა, ცელქია ძლიერ და ვში- შობ, საღმე მახეში არ გაებას.

ბამბა-ქულამ დაამშვიდა დედა, — თვალ-ყურს ვადევნებ შავუნასაო.

დედა და შვილი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, უეტად მოვარდა გაფითრებული და გულგახეთქილი მამა-კურდლელი, რომელსაც თა- ვისი ურიცხვი შვილები გზაზედ დახვედროდენ, თან გამოჰყოლო- დენ და ეხლა გვერდს უდგნენ.

--ოჲ, ჩემო ძვირფასო შვილებო! — სოქვა მამა-კურდლელმა სევ- დიანის ხმით, — ერთი საშინელი ამბაერი უნდა გითხრათ.

—ღმერთო ჩემო, რა არის, რა მოხდა? —შეპყვირა შაბრალი  
დედა-კურდლელმა და ოვალ-ცრემლიანმა გადაპხედა შეილებს, ხომ  
აზვინ არ მაკლიაო, და როცა დაინახა, რომ შვილები სრულად  
არიან, დამშეიდებით უთხრა თავის შეწუხებულს მეულლეს:

—ჩემო კარგო, რა აშბაეთ, რა უბედურებაზედ ლაპარაკობ?

—მეტი უბედურება-ლა გინდა: ჩვენი გათქმული ტყე, ჩვენი ჩუ-  
მი და უშიშარი საცხოვრებელი ადგილი, საცა ჩვენი წინაპარნი მყუდ-  
როდ და მოსვენებით სცხოვრობდნენ....

—მერე რაო!?

—ისა, რომ ტყეს პატრონები გასჩენია,—სთქვა მამა-კურდლელმა.  
პატარებმა კურები ცქინტეს.

—როგორ? ტყეში ნაღირობის ნება მიუციათ? —დაეკითხა კი-  
დევ დედა-კურდლელი.

— მაგისი რა ვიცი, და მახების დაგება კი შემოულიათ. მერე  
სად დაუგიათ? —სწორედ იმ მწვანე ველზე, სადაც ჩვენ ბალახის სა-  
ჭილად დავიარებით ხოლმე.

— რა უწჯულობა! განა კატები აღარ მოიპოვება იმათ ქვეყა-  
ნაში, რომ საბრალო კურდლელები არ ამოიჩიმონ? —სთქვა გამწარე-  
ბულმა დედა-კურდლელმა.

— რა გაეწყობა, ეხლა სიფრთხილე-ლა გვმართებს! სიფრთხი-  
ლეს თავი არა სტკივაო,—იტყვიან. აბა ძმებო, ფრთხილად იყავით,  
—სთქვა დარბაისლურად ბამბა-ჭულამ: —ახლოს ნუ გაუვლით აი იმ  
კომბოსტოს, ხევის ძირს, ტყეში, ვიღასაც რომ დაუთესია; ერიდეთ  
აი იმ სტაფილოსაც, მარწყის გვერდით რომ არის..... ერთი სიტ-  
ყვით, ნუ მიეკარებით იმ ადგილებს, სადაც კი ადამიანის ხელი ჩანდეს.

— მაშ მარტო ჰაერი და წყალი ხომ არ გვაცოცხლებს? —წა-  
მოიძახა შავუნამ, რომელიც გამოუცდელი იყო და არ იცოდა, ში-  
ში რა არის.

— რადა? წინანდებურად ირბინეთ ტყეში, ჭამეთ ნორჩი და ახა-  
ლი ბალახი,—უთხრა მამა-კურდლელმა:—მხოლოდ ნუ მიეკარებით  
იმისთანა ბალახს, რომელიც ჩვენ ტყეში აქამდის არ მოდიოდა.

შეიღები დაპირდნენ, რომ ამას იქით ფრთხილად ვიქტორიანი.  
შავუნაც დაპირდა, მაგრამ ასრულებდა დაპირებას, თუ არა?

## II

მეორე დღესვე შავუნას ძალიან მოუნდა იმ ადგილების დათვა-  
ლიერება, საცა ვითომ ამათვის მახები იყო დაგებული, —ხოლო, რა-  
საკირველია, შორიდამ კი. შავუნამ მოიგიფიანა თავი და სწორედ  
იქით, წყლისკენ გასწია, სადაც მამა-კურდლელმა აღუკრძალა. ბამბა-  
ქულა თვალს არ აშორებდა შავუნას და შორი-ახლოს თან მისდევდა.

წყლის პირი მშვენიერი ფერადი ყვავილებით იყო აყვავებული,  
ზოგს წყლიდამაც ამოეყო თავი. მწვანე ხავერდიეით გადაშლილი ბა-  
ლახი ისე მოჩანდა კამკამ წყალში, თითქოს სარკეში ჩანსო. ყვავი-  
ლებს ფრინველები თავს დასტრიალებდენ. კოლო-ბუზებს ბზუილი  
გაპქონდათ.

განა ამისთანა მშვენიერ ადგილას შეიძლება რომ მახე იდგეს?  
შავუნასთვის ეს დაუჯერებელი ამბავი იყო და თამამად მიუახლოე-  
და ამ ალაგს.

—არა, რა მოელანდა მამა ჩემს,—გაიფიქრა გულში შავუნამ,—  
ღმერთი-რჯული, აქ არაფერი მახე არ არის.... მოხუცს თვალთ  
აღარ უჭრის, და, უსათუოდ, აი ის გამხმარი ხის ტოტი ეჩვენებოდა  
მახედ. საწყალი ჩვენი მშობლები! სულ ჩვენი სიყარულით კი მოს-  
დით, რომ ყველანი ჩვენი მტრები და მჭამლები ჰგონიათ....

—ვიშ, რა საუცხოვო დილაა,—ამბობდა შავუნა და თან წყლის  
პირას არხეინად დასეირნობდა:—ნეტავი მეც იმ იხვებიერი ვიულე  
ცურვა. აბა თუ მაშინ ვიბანავებდი ცივ-ცივ წყალში! ამბობენ, ბა-  
ნაობა მადას მოჰვერისო. მე უიმისოდაც ამ დილის სეირნობამ სა-  
შინელი მაღა ამიშალა..... რა მშვენიერი ბალახია, ერთი კარგად გა-  
მოეძლე!

შავუნამ იგემა კომბოსტოს ორიოდ ფოთოლი, მაგრამ ამ-  
გორლაც არ მოეწონა:—,,რა უგემური ყოფილაო!... ჰო, ვემო არ  
უვარგა, მაგრამ ჯანისთვის კი, ამბობენ, მარგებელიაო!... ეს კიდევ

რა დაუთესიათ? მგონი, ლობიოა, თუ არა ვცდები. უთუოდა წალენება  
იქით მხარეს რომ სოფელია, იქიდამ დედაკაცი გადმოვიდოდა ვინაუ  
და დასთესდა. ამაზედაც ხომ არ იტყვიან, მაზაო და ხელის ხლება  
არ შეიძლებაო.

შავუნა მსუნავობამ ისე გაიტაცა, რომ ვერ დაინახა ლობიოს-  
თან მახე, რომლის მავთულები მზეზედ ბრჭყინავდენ. ხარბად და-  
უწყო ლობიოს ჭამა... ამ ღროს ერთბაშად მოისმა ჩხაკუნი, შავუ-  
ნამ დაპირა გაქცევა, მაგრამ გვიანღლა იყო,—საბრალო მახეს დაეჭარა.

შავუნა თავის დასაღწევად ხტუნვას მოჰყვა მახეში, მავთულებს  
თავს ახლიდა, მაგრამ ვერა გააწყო რა. ბოლოს დაწყო ოხერა-  
კვნესა და მწუხარებით მოსხახოდა:

—დელილო! მამილო! ჩემი კარგო ბამბა-ქულავ! სადა ხართ?  
მოდით მიშველეთ, დამიხსენით უბედურებისაგან! ამას იქით დაგიჯე-  
რებთ, ოქვენ სიტყვას გავიგონებ, ოღონდ ეხლა ნუ დამაგდებთ ასე!

საცოდავი შავუნა ყვიროდა და ქარს შორს, შორს მიკუნდა  
მისი მწუხარე ხმა.



სალამოზედ მოვიდა ერთი საშინელი სახის კაცი, თავზე თეორი  
გაჭუჭურანებული ქუდი ეხურა და დიდი, გრძელი ფესტამალი ჰქონდა  
შემოკრტლი.

—ოჟ! ეს კარგი ამბავია! დაიძახა ამ კაცმა და ისე გაიცინა,

რომ საწყალი მახეში გაბმული შავუნა აკანკალდა. — ერთი ლაუპე-  
რია, მაგრამ რა მსუქანია! ბებერიც არა ჩანს! ხახეით მოსტირული  
საუცხოვო რამ იქნება!


— მოწყალება მოიღე, შემიბრალე, ბატონო ჩემო! — წმუკუნებ-  
და შავუნა და თვალებიდამ მდუღარე ცრემლები სდიოდა: — შეიბრა-  
ლე ჩემი ახალგაზდობა! ღმერთო, რა ბელნიერი ვიყავ ჩემ მშობლებ-  
თან, და ეხლა უნდა ოჯახს მოვაკლდე?... გამიღე მახე, გამიშე! შენ  
სხეას, უფრო დიდს და მსუქანს კურდლელს დაიკერ. ხახეით მო-  
ხრაკული ის ჩემზედ გემრიელი იქნება, მე თავი დამანებე.

— ჩემი პაწიავ! — უთხრა კაცმა, — თევზისა და მეოთევზის არაკი  
არ გავიგონია? მაგრამ სკოლაში ხომ არ გესწავლება და საიდგან  
გაიგებდი, და არც შეგაწუხებ იმის მოთხრობით, მხოლოდ კი გე-  
ტყვეი, რომ ნათქვამია: „დღევანდელი კვერცხი სჯობია ხეალინდელ  
ქათამსაო.“

### III

იმედ გადაწყვეტილი შავუნა, მეტი რა ღონე იყო, უნდა და-  
მორჩილებოდა თავის ბედის-წერას და საბრალო მოიკუნტა ტომა-  
რაში, საცა ბოროტმა კაცმა ჩააგდო. ამ დროს, — ღმერთო ჩემო, ნუ  
თუ ეს მართალია?! — მორილაშ თვალი მოჰკრა უვითელ ყურებს... არა  
სცდებოდა: ეს ნამდვილად ბამბა-ქულა იყო! შავუნას უნდოდა და-  
ეყვირა, მაგრამ მმა-კურდლელმა ტოტი მიიფარა პირზედ, ნიშნად  
იმისა, რომ ხმას ნუ ამოიღებო. შავუნა მიუხედა და სული გაკმინდა,  
თუმცა კი თითონ სიხარულით აღარ იყო: ეხლა ბამბა-ქულამ იცის  
ამის უბედურება და თავის ჭკუთ და მოხერხებით უთუოდ დაიხსნის.

მახეს პატრონი წყლის ნაპირას მივიდა, ახსნა დაბმული პატარა  
ნაერ და ის იყო შიგ უნდა ჩამჯდარიყო, რომ ამ დროს ტყიდაში გა-  
მოვარდა ერთი მშვენიერი ხატაური, გრძელ-ბალნიანი, კუდ-აბზეკილი.  
დაუწყო ამ კაცს ლაქულობა, ფეხებში ებლანდებოდა.



— ეს რაღა! დიდება შენთვის ღმერთო! კატა? მერე რა მშეკრის ხატაურია! — სთქვა გაკვირვებულმა კაცმა: — ტყეში ამ ნაირი ხატაურის პოვნა საკვირველი ამბავია, მე და ჩემმა ღმერთმა! რა გაეხარდება ჩემ უოლს, კატას რომ მიუგვრი. მგონი, შურით რა მოუყიდეს ჩვენს მეზობელს ირინეს.

— ფისო, ფისო! წამო, ჩვენსა წაგიყვანო. სტაცია ხელი ხატაურს და ჩასვა იმავე ტომარაში, საცა შავუნა იჯდა.

ჩაჯდა ნავში, ტომარა ფეხ-ქვეშ ჩაიგდო, მოუსეა ნიჩბებს და პირი სოფლისკენ უყო.

— ჩხეუბი კი არ მოგივიდეთ, ჩემო ტუსალებო! — ჩასძახა ტომარაში, — მგონი, კარგად მოეწყეთ!.. ოჟ! რანაირად გაიხარებს ჩემი უოლი!

ხატაური და კურდლელი კი ამ დროს ჩუმად ლაპარაკობდნენ თავიანთ კურდლლურ ენაზედ.


— ძამიავ, როგორ მოახერხე მაგ ტანისასოსის ჩაცა ჩემ გამოსახსნელად?! — ეუბნებოდა შავუნა ბამბა-ქულას: — ვინ მოგცა ეგ ხატაურის ტყავი?

— ტყეში ვიპოვე შიმშილით მომკვდარი ხატაური. დილას აქეთ სულ იმ ფიქრში ვიყავი, რითი მეშვეობა და როგორ დამეხსნა შენი თვეზ: უცაბედად წავაწყდი ამ ტყავს. ამით იქნება როგორმე დაგისნია, შე უჩჩო. დედა ჩვენი, ვინ იცის, როგორა სწუხს. ამას იქით ნულარ იგიუებ და ეხლა კი ვეცლები, როგორმე გადაგარჩინო.

შავუნას ისე აწუხებდა სინიდისი, რომ პასუხის მაგივრული ფული  
ამოუჯდა და ქვითინი დაიწყო.

ამ დროს მონაღირემ ნავი მიაყენა თავის სამზარეულოსთან, რომ-  
ლის კარები სწორედ წყლის პირას იყო.

—ეი, ქალბატონო, აბა გამოიხედე, რა მოვიტანე! დაუყვირა  
თავის ცოლს მონაღირემ, რომელსაც ერთ ხელში ყურებით შავუნა  
ეჭირა, და მეორეში ხატაური.



—ეგ არი შენი ნაღირობა? —უთხრა ცოლმა, — მოელი დღე მა-  
გაში ამოაღამე, და ერთი კურდლელი კი მოიტანე?

— მართალი ხაჩ; ერთი კურდლელი რა სახსენებელია, — მაგრამ  
ამ კატაზედ, ამ ხატაურზედ რაღას იტყვი?

— საწყალი ჩემი ფისუა! მაგან უნდა გამიწიოს მაგივრობა ჩემის  
საბრალო ფისუასი, რომელიც ისე უცბად მომიკვდა. კურდლელს  
ხვალვე შევწვავ, კატას კი ჩემთვის შევინახავ ჩემ მეზობელ იჩინეს  
გამოსაჯავრებლად, რომ ისე უხაროდა ჩემი კატის სიკვდილი... მო-  
დი ჩემთან, ფისო, მოდი, რძე გაჭამო! დაუწყო ხატაურს ალერსი.

ბაშა-ქულაც, ნამდვილ კატასავით, წელში გაიგრისა, გად  
კლაკნა, ბალანი აიშალა და ხრუტუნით სახლის პატრონს მიეალერ-  
სა, გაეგლის-გამოეეგლისა. მაგრამ ჩაიგდო თუ არა დრო, მაშინვე



გაექანა ეზოში, სადაც დიდ ხის ყუთში ეგულებოდა ღამბა-ქულამ, ძმა-კურდლელი.

— შავუნავ, ჩემო საბრალო შავუნავ! — უთხრა ბამბა-ქულამ, — გაჭამეს რამე? მე იმდენს რასმე მაჭმევდენ, და ყელში კი არა ჩამდიოდა რა, სულ შენს დარდში ვიყავი.

— მეც მომცეს ნაფუქვენები ვაშლისა, სტაფილოსი და კომბოსტოსი..... მე შიმშილს არა ვჩივი, მაგრამ როდესაც მომავონდება, რომ ხეალ.... სწორედ ამ დროს.... დამკვლენ და შემწვენ.... მეტი ვეღარა სთქვა-რა შავუნამ, ცრემლები ახიობდა.

— მხნედ უნდა ვიყოთ, მაგრად, ძამავ! — უთხრა ბამბა-ქულამ: — უნდა თავს ვუშველოთ, თორემ თუ შემიტყეს, რომ კატა არა ვარ, — წახდა ჩემი საქმე, სახიობელაზედ ჩამომციდებენ. დროს ნუ დავკარგავთ ტყუილ-უბრალოდ, ამაღამდის მაგ ყუთში გზა გაიკეთე გამოსასვლელად, მე კი წავალ, აქაურობას დავათვალიერებ.

შავუნამ ბრძანებათ მიიღო ძმის სიტყვები და საჩქაროდ შეუდგა საქმეს — დაუწყო გაცხარებულმა ღრღნა თავის საპყრობილოს თხელ ფიცარს.

ბამბა-ქულამ მოიარა მთელი ეზო და ნახა, რომ ეზოს გარე-შემო არტყია მაღალი კედელი. აქედამ თავს ვერავინ დაახწევსო, — იფიქრა ბამბა-ქულამ. მაინც ერთი კიდევ აიარ-ჩაიარა ეზო დიდის ყურადღებით. ამ დროს სახლის პატრონმა დაუძახა და გადუკდო თევზი. ჩვენი ბამბა-ქულა დაძახებაზედ იმ წამსვე გაექანა, მაგრამ თევზს კი უნებურად დასუნა.

— ამას რას ვხედავ! შესაძლებელია, რომ კატას არ უყვარდეს თევზი? — წამოიძახა სახლის-პატრონმა.

საბრალო ბამბა-ქულას მეტი რა ღონე ჰქონდა, — ეჭვი რომ არ აეღოთ, ჭამა დაუწყო თევზს, თუმცა უგულოდ კი.

ამ დროს სახლის-პატრონი სახლში შებრუნდა, და ბამბა-ქულა ისევ ეზოს დათვალიერებას შეუდგა. აქეთ-იქით აფაციცებდა თვალებს, რომ შეეტეო, საიდგან შეიძლება თავის დაღწევა... უცბად ზედ და-ესხა ჭურჭლის ნარევზი ცხელი წყალი, რომელიც სამხარეულოდამ ლუ-

ლაში ჩაესხათ. ბამბა-ქულა ერთ-წამს გადახტა, ცხელ წყლის ფაზ  
მოაშორა და შეამჩნია, რომ ეს ნარეცხი წყალი მეორე აუკლელი  
გადავიდა, რომელიც აქვე კედელში იყო გაყვანილი.

—აბა, თუ ღმერთმა მიშველა, მგონი, გზა გავიგნე, —სოჭვა კმა-  
ყოფილებით ბამბა-ქულამ: —თუმცა ცხელ წყალში ამოვიწუმპლე.

როდესაც წყლის დენა შესწყდა, ჩვენი კურდლელი მივიდა წყლის  
ორმოსთან. ბნელოდა და ისე მოჩანდა, თითქოს თალით არის შე-  
კრულიო. ამ სიბნელეში ბოლოს ცოტათი გამოჩნდა მინდვრის  
მწვანე ბალახი. ბამბა-ქულა მაშინვე გაექანა თავის ძმასთან და ახა-  
რა. შავუნამაც იმედინად უთხრა, —მალე ძრს ჩაეულრდნი ყუთსაო  
და ადვილად გამოვიპარებიო.

პირობა დადეს, შუა ღამისას გაქცეულიყვნენ.

ბამბა-ქულა ერთი კიდევ შევიდა სახლში და დაუწყო ლაქუ-  
ცობა სახლის-პატრონებს. ამითი ძალიან ასიამოვნა თავის ახალ პა-  
ტრონებს.

გახდა ღამის თერთმეტი საათი. ხატაურს არ აყადრეს სამხარე-  
ულო და დარბაზში გაუშალეს ქვეშაგები მარტოს. სახლის-პა-  
ტრონებს სხვა ოთახში ეძინათ.

#### IV

ბამბა-ქულას გული მოსვენებით არა ჰქონდა და ძილი არ მო-  
სდიოდა. ფიქტობდა ძვაზედ და დანალვლიანებულ დედ-მამაზედ. რაც  
უფრო მეტი დრო გადიოდა, უფრო მეტი მოუსვენრობა ეტყობოდა  
ბამბა-ქულას.

ბოლოს კედლის საათმა დაპკრა სავალალო თორმეტი საათი.  
ბამბა-ქულამ მეტი აღარ ახანა, წამოხტა; გადიძრო ხატაურის ტყავი,  
დააგდო ქვეშაგებზედ და გაექანა კარებისკენ, რომელიც წყლისკენ  
გადიოდა, კარები დაკეტილი დაუხვდა. ეზოში გასასვლელი კარებიც  
ჩაკეტილი იყო. ბამბა-ქულამ მანც იმედი არ დაკარგა და წყლის  
ჩასასხმელს ძებნა დაუწყო. ეს ჩასასხმელი ღრმა ტაშტივით იყო და  
მერე იწყებოდა მილი, რომლის ბოლო ბამბა-ქულამ ეზოში ნახა. ამ

მილს პირში ხე ჰქონდა დაცობილი. კურდლელმა თავის გრძელი კურდლელმა ლებით და მოგძო დინგით ამოაძრო ეს ხე და მილში ჩაფიქრო. მილში ეწრიო იყო და ბამბა-ქულა დიდის ვაი-ვაგლახით გამოვიდა ეზოში.

შავუნა ცახუახით ელოდა ეზოში.

— გამომყევ ჩქარა! — სწრაფად მიაძახა ბამბა-ქულამ და ადრევე დათვალიერებულ ეზოს მილში ჩაძრა.

შავუნაც ფეხ-და-ფეხ მიჰყვა. გაახწიეს მილს, კედლის თაღსაც და მალე ირივენი წყლას პირას გავიდნენ.

— თავისუფალნი ვართ, თავისუფალნი! — დაიძახა სიხარულით გატაცებულმა შავუნამ.

— ნუ ჰყვირი, დაჩუმდი! რა დროს ეგ არი? გაგვიგებენ! — და ორივე ძმა-კურდლელმა მოჰყურტლეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თავიანთ ტყისკვენ.

სოფელში პირველმა საათმა დაჭრა, რომ ესენი კიდევ წყლის ნაპირ-ნაპირ მიზბოდნენ, ეხლა სწორედ თავიანთ სამშობლო ტყის პირ-და-პირ იყვნენ.

— წყალში როგორ-და გავიდეთ? — სთქვა ბამბა-ქულამ.

— ღმერთო ჩემო, კიდევ უბედურება? — წამოიძახა შავუნამ, — ევ ხომ ფიქრად არ მოგვივიდა. წყალი დიდია, ჩენ კი ცურვა არ ვიციო.....

ჩვენი ძმა-კურდლელმა მწარედ დაფიქრებულნი შესდგნენ...

ამათ ბედზე აკი იხვის ხმა მოესმათ, რომელიც თითქოს ჰერხავდა: — ამ დროს თქვენ აქ რას აკეთებთო?

— რომ იცოდეთ, ჩვენ თავს რა უბედურებაა, ჩვენი ბრწყინვა-ლე ბატონო იხვო, შეგვიბრალებდით! ჩვენ რომ თქვენსავით ცურვა ვიციოდეთ, რაღა გვეპირება, წყალს ვერ გადავსულვართ და საბრა-ლო დედ-მამას დაღუპულები ვეგონებით.

— მაშ წყალზე გადასვლა გინდათ? — ჰერხავდა.

— მაშ რაზე გვაქვს ვაი და ვაგლახი!

— ეგ როგორ გაღონებო? ვანა ჩვენ კი არ ვიციო ალამიანები-

ვით ერთმანეთის შეელა? ეი! არ გესმით? გაიღეიძეთ, დაიყვიყვინა იხემა.

მამის დაძახებაზედ ერთს წამს მოვიღნენ დიდი და პატარა იხვი. შემოეხვივნენ მამას და დაწყეს: — ყვი, ყვი, ყვი! ...

მამა-იხემა გამოუტადა, ორმ ეს ორი კურდლელი გაღმა უნდა გაიყვანოთო. ექვსი იხვი გულადად ჩაეშეა წყალში, ერთმანეთს



მიყვერნენ, თითქოს ტივიაო, ზედ ბამბა-ქულამ დასვა შავუნა და იხვებმა გაიყვანეს გაღმა ჯერ შავუნა და მერე ბამბა-ქულა.

კურდლებმა მოინდომეს მადლობის გადახდა, მაგრამ იხვებმა უარი თქვეს: რა მადლობა გვინდა! ყველამ უნდა ერთმანეთს ვუ-შველოთო!

მა-კურდლები გაექანნენ თავიანთ ბინაზე. იქ ჯერ არავის ეძინა. დედა-კურდლელს იმედი გადაეწყვიტნა შეიღების პოვნისა და იმის გულსაკლავი კვნესა მოელ არე-მარეში გაისმოდა. მაგრამ თვალი მოჰკრა თუ არა დაკარგულ შვილებს, სიხარულით ალარ იკოდა, რა ექნა. ყველანი შემოეხვივნენ ამათ, ეალერსებოდენ, ჰკათხავდენ ამბავს და ჰკვირობდენ ბამბა-ქულას სიმარჯვეს და გამჭრიახობას.

გათენდა და ამათ ჯერ თვალი არ მოეხუკათ.

სახლის პატრონებმა დილით რომ გაიღეიძეს, კურდლის გაქცევა ძალიან გაიკვირვეს, და ხატაურის ტყავმა ხომ სულ გადარია ესნი.

შავუნა მას აქეთ დაკუვიანდა და ამ თავეგადასავალმა სხვებიც გააფრთხონდა. მახეს თუმცა უწინდებურად სდგამდენ, მაგრამ არც ერთი კურდლელი ალარ გაება ამ მახეში.

ხ ა ლ ხ უ რ ი ჩ ე ქ ხ ი



(ფშავში გაგონილი თ. რაზიკაშვილისაგან).

შავი წყალი მოდიოდა,—  
შავ ქურციკო \*), რა არისო?  
შიგ კიდობან მოგორავდა,—  
შავ ქურციკო, რა არისო?  
შიგ ბატყანი მობლაოდა,—  
შავ ქურციკო, რა არისო?  
შიგ ლაინი მაიშლება,—  
შავ ქურციკო, რა არისო?  
შიგ სანთელი მეენთება,—  
შავ ქურციკო, რა არისო?  
ჰერხოში რო ხარი ყვირის,—  
შავ ქურციკო, რა არისო?  
ბოსელში რო ფური ყვირის,—  
შავ ქურციკო, რა არისო?  
ღობეს ჩიტნი წრიპინებენ,—  
შავ ქურციკო, რა არისო?

— შავი წყალი მოდიოდა,—  
შავ შავეთი მგონიაო,  
შიგ კიდობან მოგორავდა,—  
კუბო ჩემი მგონიაო,  
შიგ ბატყანი მობლაოდა,—  
სულის სახსარ მგონიაო,  
შიგ ლაინი მაიშლება,—  
სულარ ჩემი მგონიაო,  
შიგ სანთელი მეენთება,—  
გზის სანთები მგონიაო,  
ჰერხოში რო ხარი ყვირის,—  
მარა ჩემი მგონიაო,  
ბოსელში რო ფური ყვირის,—  
დედა ჩემი მგონიაო,  
ღობეს ჩიტნი წრიპინებენ,—  
ჩემ ღბლები მგონიაო!

\*). ქურციკი—კაცის სახელია ფშავში.



სატარ-სატარა

სამეცნიერო წერილები

წერილი II.



მათ კოტე! წარსულ წერილები დაგვირდი, რომ,  
როცა მასწავლებელი ჭავრის ამბავს მიამბობდა,  
შენთვისაც გადმომეცა. მიამბო და აი თურმე რა  
უოფილა ჭავრი.

ჭავრი შესდგება უმთავრესად არ მარტივ სხეულისაგან, ერთს სახელზე ჭრქმევია აზოვი და მეორეს მქაფია-  
დი. არა სულდგმულს უჭავროთ სიცოცხლე არ შეუძლიან,—  
მცენარეებიც კი ჭავრით სცოცხლობენ. ასე გაძინჯე, კოტე,  
ჩვენი ბოსტნის წიწმატიც თურმე ჭავრისა ელაპავს!

ჩვენ სომ, რადა დაპარაკი უნდა, სულ ჭავრით გაიდ-  
გია სული, და წარმოიდგინე, კოტე, ის მეგბადი, რომე-  
ლიც ჭავრმი ურევია და რომელმაც ისე უწევდოდ დააქა-  
ბა მამის-ჩემის თოვი, თურმე ჩვენი უკვდავების-წეარო ელ-  
ფილა! მეტვაბადი რომ ჭავრმი არ ერიოსო, ქვექანაზედ გერც  
ცხოველი და ვერც მცენარე ვერ იმოგინებდათ.

ჭავრი თუმცა თვალითუსილებებია, მაგრამ მასწავლებელი  
მა მე ხერხი მასწავლა, როგორც უნდა მისი ცნობა.

1. აიღეთ ცარიელი რამ შუმა, ან ბოთლი, ან წელის  
ლიტრი, სურა და ჩაევათ წერილით ასავსებლიად,—ლიტრი,  
მაშინადევ ბუქბუქს დაიწების და ნირიდგან ბუქტები გამო-  
სცვივა მწვრიფ-მწვრიფადა.



ეს თურმე იმიტომ მოხდა, რომ ლიტრა ეფუძნდებოდა კანკენის იქნ ჭარით და ოადგინ ჭარით თვალთუხილავია, ამიტომ ლიტრა ცარიელი გვეპონა; წეალმი რომ ჩავაურეულებელავეთ კი, მაშინ წეალი ჭარის შებრძოლა, წეალმა ჭარის მაღა დაატანა, აჯობა. ჭარისაც მეტი რა ჯანი ჭირდა, წეალს ალაგი დაუთმო და გაჯავრებული გარეთ გამოექანა ბუებუეთ და ბუძტების სროლით...


2. ჯამით წეალი აიღეთო და ცარიელი ჭიქა (სტაქანი) ნირქვე ჩადგით შეგ. მაშინადვე შეამნევთ, რომ ჭიქის შეაგულმი წეალი იმ სიმაღლემდე ვერ უწას, რა სიმაღლეურაც წეალი გარედგან შემოსდგომით ჭიქას.

ეს თურმე იმიტომ მოხდა, რომ ჭიქა ნირთამდე სავსე იქნ ჭარით და, როცა წეალმი ნირქვე ჩავდგით, ჭარი შეიგ მოემწევდა. წეალმა აქაც მაღა გამოიჩინა, ჭარის მიაწვდა, მიაწვდა და სულ მოლად მიკუმბა ზევითგან. მაგრამ ჭარმაც მაგრე რიგად ბევრი ადგილი ვერ დაუთმო წეალს და თითონაც ზემოდგან დაწვა და ადარ აუშვა წეალი ზევით.

3. გახსოვს, კოტე, მე და შენ რომ დავრბოდით სოლე მე და წინ რაღაც გვეხიდებოდა. სოლვერ, თუ მაღას არ დაგატანდით, თითქოს არც კი გვიძებდა, რომ სახქაროდ გავქცეულიყვათ.

აი დიდება შენდა დმერთო! აბა რას მოვიყიქრებდი, რომ აქაც ჭარის თინები იქნებოდა! და თუ ქარიც არის ამდგარი, მაშინ სომ, რადა თქმა უნდა, მორს ვერ წაუხვალ.

იცი კოტე, თურმე ქარიც ჭარით ეოფილა! დმერთს გვიცები, მართალის გამბობა! — თბილი და ციფი ჭარი ერთ-მანეთს ადგილს უთმობენო და ამ დროს, როცა ადგილს



იცვლიან, საშინელი მომრაობა და ჭავრის შერუტები მოხსოვების ხალმეო. თუ არა გჯერათ, აი თქვენ თითოს სცადეთ ამ რიგადათ.

4. თბილი ოთახიდგან კარები ცივ დერეფნისკენ ცოტათ გააღეთ; ასელა მიიტანეთ ანთებული სანთელი და კარების ახლოს მიწაზე (ასტაკზე) დადგით. სანთლის აღი ოთახისკენ გამოიწევს, ესე იგი დერეფნის უფრო ცივი ჭავრი თბილ თათხში შემოვარდებათ.

ასელა ანთებული სანთელი იმავ კარებთან მაღლა დაიჭირეთ,—სანთლის აღი დერეფნისკენ გაიწევს, ესე იგი ოთახის თბილი ჭავრი ცივ დერეფნში გააზრდებათ.

თბილი ჭავრი უფრო მსუბუქია, ვიდრე ცივი. ამიტომ ოთახში ცივი ჭავრი მირს ეფუძნება და თბილი კი მაღლა დეასო.

ამ გვარადვე ცივი ქვეუნებიდგან ცივი ჭავრი მიწა-მიწა მორბის-მოქრიალებს და თბილი ქვეუნებიდგან კი თბილი ჭავრი მაღლა-მაღლა მირბის-მიქრიალებს, და აი ამ გვარ ჭავრის მომრაობას უძახიან ქარსათ.

5. სანის ქაფს რომ ჩავბერავთ ხოლმე და სანის ბუშტები ჭავრში ფრენას იწევბენ, ემსც თურმე იმის გამო მოხდება, რომ ჩვენი ნირით ჩაბერიდეთ თბილი ჭავრი, სანის ბუშტში მოუწევდევა თუ არა, თავის სითბოს გამო მსუბუქდება და ცივ ჭავრში დაცურავს...

ეჭ, მმარ კოტე, კიდევ ბეჭრ ამისთანა მაგალითებს ჩამოვთვლიდი, მაგრამ რომელ ერთს მოვიყევ.—აი თუ კინ და, ერთს ადვილად მოსახურესხებელ მაგალითს გეტში კიდევ;

6. ჩაის ლამბაქზე დააბირქვავე. ცარიელი ჭიქს და ჭიქს ზემოვან, სამოვრის ლულიდგან, მდუღარე წევალი

დაუშვი. ჭიქა მაშინვე ტოკიალ და ხტომას დაწერილი რაც უფრო ცივი ჭიქა იქნება, იმდენად უფრო მეტს იხტეულებს. ხტუნების ღროს ბუმტები გამოდის ჭიქიდებან, მაგრამ წერდი კი არ შედის ჭიქაში.

ეს იმას მოასწავებენ, რომ, როცა ლაბბაქზე ჭიქა მოვარდირქვავეთ, ჰაერი შიგ მოემწუვდა. ცხელდა მდეღარე წერდა მა ჭიქას გვერდები გაუცხლა, რის გამოც შიგ დამწუვდებული ცივი ჰაერი გათბა, სითბოსაგან ჰაერი გაგანიერდა, გაიწვამოიწია და რაც ჭიქაში ვეღარ მოთავსდა, მაღვად ასწია ჭიქის ნაპირები და გაჯავრებული ბუმტების სროლით გარეთ გამოვარდა.

აქვდგან, ჩემო კოტე, ისიც შევიტეთ, რომ სითბოსაგან არამც თუ მარტო ჰაერი, სხვა ჟელა სხეულიც განიერდება და მატულობის თურძე და სიცივისაგან კი იკუმშება და ნატარავდება.

მმათ კოტე, ეს სომ გავიგეთ, ჰაერი რაც უოვილა და რაც შესძლებია, ახლა, მასწავლებელი ამასაც დამსირდა: მერე, როდისმე, როცა მოვიცლი, იმასაც გრამბობ, თუ გაუჟუჭებული ჰაერი რა მავნებელი რამ არისო და რა ნაირად უნდა მოახერხოს ადამიანმა, რომ ეს მავნე თავიდებან აიცინოსო.

ეს, მმათ კოტე, კარგი რამ უოვილა ცოდნა, და ჩვენ კი აბა ჯერ რა გვცოდნია. ხელვაი როდის იქნება, რომ ჩვენც გვდირსხეთ, ცოტათი თვალი გავასილოთ და ქვემანაში გავერიოთ.

დავშეგბი სწავლისთვის თავდადებული შენი მა ილიკო

## გ ე ლ ა თ ი ს მ თ ნ ა ს ტ ე რ ი

**3**

ის არ გაუგონია ჩეენში გელათის მონასტრის ამბავი?.. მაგრამ ბევრს ჩეენს პატარა მყიოხველს კი არ უნახავს ეს მონასტერი; იქნება არც კი ოცოდეს, სად არის, რომელ ქუთხეშია ავებული, ვინ ააშენა, ან რა ძვირფასი საუნჯეა ყოველის ქართველის მოგონებისათვის.

ქუთაისს თუ ერმე ყოფილა, იმას უკველად ენახვება ჩეენი საყარელი რიონი, რომელსაც ქუხილით განუპია ორი მთა: „ხორხი“ და „მწვანე-ყვავილა“; ის ლამაზათ მოშეუის და აცოცხლებს მოელს იქაურს არე-მარეს.

ვინც ტფილისიდან ჩამოვა, იმან უნდა გადაიაროს რკინის ხილი, გადაჭრას რიონი და შეუდგეს გაღმით კლდიანს ხორხის სერსა. ზევიდან მას დაჰყურებს დიდებული უზარ-მაზარი კედლები ძველის ბაგრატ-მეფის ტაძრისა.

როცა მგზავრი აივლის ხორხის სერსა, გზაზე აქა-იქ შეამჩნევს ძველის ციხის სქელის კედლების ნაზზელევებსა. ვინ იყის, რამდენი მწუხარება და სისხლის ღრა უნახავთ ამ დაგლეჯილს ციხის კედლებს, როცა მტრები გარს ადგენ და ჰსურდათ მისი დალეჭვა. ხორხის თავზე მგზავრი შენიშნავს ციხის ბურჯების ნანგრევს; იმაზედაც რომ აეა, ის მაშინ ქუთაისის უმაღლესს მწვერვალოზეა დამდგარი და ზევიდან დაჰყურებს მოელს ქალაქს, სადაც მწვანილოვანს ბაღებში ნარდის კამათლებიერით გაბნეულა თლილის ქვის შენობები.

ეს ძალიან ლამაზი სანახაობაა.

მაგრამ როდესაც აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაიხედავ. კიდევ უფრო ლამაზი სურათი გეხატება თეალ წინ. ძირს აღმასის გველივით მოკლაქება ისევ ის საყვარელი ცელქი რიონი, გაღმოთ მწვანე ტყიანი სერები მიეფინებიან, კიდევ გადაღმა. უფრო მოშორებით, მწვანე სერებს ლურჯი მოები გადეგრიხება. იქ ერთს მთის



კალთაზე უცბათ გამოჩნდება თითქოს ნათლით მოსილი ფეხუწევე  
როსანი მღვდელთ-მთავარი, რომელსაც ხელთ უპყრია თეთრი კვერთ-  
ხი \*) და შეი გვირგვინი \ თავზედ ადგია. ამ დანახეაზე უნებურათ  
წარმოიძახებ: ოჯ, ეს რა მშეენიერება!... ვინ არის ეს ნათლით მო-  
სილი მოხუცი, რომელიც თითქოს ზეცას წინაშე წარმდგარა და ქვ-  
ენისთვის ლოცულობსო?... ეს არის გელათის მონასტერი, რომე-  
ლიც სიშორის გამო თეთრად გამოჰკიაფობს მთის ლაფვარდზე. ამ  
სიშორებზე მას მიუღია ბრწყინვალე სამოსლით შემოსილის მღვდელთ-  
მთავრის სახე.

მგზავრი მაშინვე განიზრახავს იმის ახლო ნახეას. ქუთაისზე ათი  
ვერსტით მოშორებულია, მაგრამ რაც უფრო დაუახლოვდები, უფ-  
რო ამჩნევ, რომ შენს თვალ-წინ თან-და-თან იცვლება გელათის სა-  
ხე. ის დოდება, ბევრს გარე / მორცყმულს შენობებსა და ნანგრე-  
ვებს შორის უფრო მკაფიოდ წარმოსდგება გელათის ტაძარი; ცალ  
მხრით წმინდის გიორგის ეკკლესია, მეორეს მხრით წმინდის ნიკო-  
ლოზის ეკკლესია, რომელიც შორიდან მღვდელთ-მთავრის ყავარჯე-  
ნათ გეჩვენებოდა და სხვა. ახლა კი რწმუნდები, რომ შორიდან შე-  
მნეული ნათელ-მოსილი მღვდელთ-მთავარი ერცელი მონასტერი  
ყოფილა თეისი ეკკლესიებით, სამრეკლოებით, სამლოცველოებით,  
ბერთა სავანეებით და ნანგრევებით...

ერთი რაღაც გულის დამაშევიდებელი გრძნობა აღეჭრის კაცს.  
როცა მონასტრის გალავანში შედგამს ფეხს. დიდებული ტაძარი  
თვალ წინ აღიმართება ცათამდის. | დაგუურებს ზევიდან და თითქოს  
გულით შეგაერთებს იმ დროსთან, როცა სახელოვანი შეფე დავით  
აღმაშენებელი ბრძანდებოდა აქ და ხუროთ-მოძღვრებს ამნევებდა  
ამ ტაძრის ასაგებათ. ყოველს აქაურს ნაშტს ატყვია მისი კვალი,  
მისი ხელი, თითქოს დღესაც ცოცხლათ თავს დასტრიალებს გელა-  
თის ტაძარს ამ დიდის კაცის სული.

შევხედოთ მშვენიერს მთის წყაროს აუზს, რომელიც სამრეკ-

\*) მღვდელთ-მთავრის ქოხი.



გელათის მონასტერი

ლოს ქვეშე ჩუხჩიუხებს. თითო რომ ჩაჰყო, გაჰყინავს, ისე ფრთხოების ფხულში მისი წყალი. ეს მთის წყარო შორის მთიდან ცარს გამო ყვანილი მილებით ბატონი მეფის ბძანებით.

ტაძრის სამხრეთის კედელზე | დიდი ერთიანი ქვა არის დატანებული; განი კატე უმაღლესი აქვს, სიგძე ორი კაცის სიმაღლე. ნეტა რა ხელმა დასძრა ამისთანა დიდი ქვა ადგილიდან?

— როცა ბატონი დიდი მეფე ამ ტაძრს აშენებდა, იმან ინება: ერთი ისეთი დიდი ქვა უნდა დავატანო ამ ტაძრის კედელშით, რომ მომავალი შთამომავლობა მუდამ გაკვირვებით შესცემოდეს. ერთხელ დიდი მეფე დავით ქუთაისიდან მიბრძანდებოდა გელათს ტაძრის შენობის დასახედავათ. ამ მოებში სასიარულოთ მას ჰყავდა შავი ჯორი. მეფემ, ღრმათ დაფიქრებულმა, ჩამოივაკა წყალწითელას პირზე, ჯორი შევიდა წყალში და გადუხვია ფონს. | მეფემ, ღრმა ფიქრს მიუემულმა, დაანება ჯორს სადაცე და ვერ ნიშნავდა, რომ იგი წყლის სიღრმისკენ მიიწევოდა. წყალმა ჯორის მკერდს მოუსვეა პირი და დიდი მეფე მუხლებამდე დაასველა; მაგრამ იგი მაინც ვერ გამოერკვა ღრმა ფიქრისაგან. მისი გონება წაელო იმ ფიქრს, თუ სად ეშვენა ერთიანი უზარ-მაზარი დიდი ქვა გელათის ტაძრის ბალავერზე დასადებად. | უეცრად... შეხტა ჯორი ერთს უშველებელს ქვაზე, რომელსაც წყალწითელა შეეგუბებინა, და მეფეც თან აიტანა. მხოლოდ მაშინ მოვიდა მეფე გონზე, ფიქრისაგან წალებული, და რა ნახა, მისი ჯორი დიდ ფილაქანზე დამდგარა, იამა. მას აღუსრულდა მისი გულის წაღილი და განიჩრახა ამ ქვის ატანა გელათს თავისი ხელით.

მეფე გავიდა წყალწითელაში, ავიდა გელათს და დაათვალიერა ტაძრის მუშაობა. იმ ღამეს ხუროთ-მოძღვარს უბძანა მეფემ: ხვალ დილით ფეხით უნდა ჩავიდე წყალწითელას | პირზეო და იქ ერთი დიდი ფილაქანი ძევს, ის ჩემი ხელით უნდა ამოვიტანო ტაძრის ბალაზურზე დასადებათო. ხუროთ-მოძღვარი განცვიტებაში მოჰყავდა მეფის ამ გადაწყვეტილებას. მას არ სწამდა, რომ თორმეტი ულელი კამბეჩი დასძრავდა იმ ქვის ატანა გელათს

მაისის ღამე იყო. ცა ვარსკვლავებით მოიკედა. ქვეყნის უდიშტობარი იყო და ლვოს თვალი მეფეს თავს დასკერდა. უცდლამ ეძნა, მხოლოდ მეფე იდგა სერობის ლოცვად მუხლებმოყრილი და გული წმინდით ევედრებოდა ღმერთს თავის განზრახვის ასრულებას...

ამოხდა განთადი აღმოსავლეთისაკენ. ჯერ კიდევ არავის გაფლვიძნა. მეფე წამოდგა და დაეშეა წყალწითელასკენ, პირსახოც-სავარცელი უბით მიჰქონდა, მისი შავი ჯორი იქვე ბალახს სძოვდა გელათის გალავანში. მეფის ფეხის ხმა რომ მოესმა, სიმოვნებით შესჭიხვინა. მისმა კიხეინმა ხუროთ-მოძღვარი გამოაღვიძა. მან რა ნახა, მეფე აღარ იყო, იუიქრა, ქვის მოსატანად წაეკიდოდა და სხვ მუშებიც ააყენა, რომ მეფეს არ მოესწრო მათვეის კიდევ მძინარე-თავეის.

მეფემ წყალწითელას პირზე დაიწერა პირჯვარი. ხელ-პირი დაიბანა, პირი შეიხოცა, მერე მივიდა, ქვა ასწია, მხარზე შეიგდო და გელათისკენ ამოემართა. გზა-გზა რომ მოდიოდა. ცალი ხელით ქვა ეჭირა და ცალი ხელით თავს იგარცხნიდა. როგორც შემოდგა ფეხი გელათის გალავანში, მზის პირველი შუქი თავზე დაადგა. მან მიიტანა ეს უზარმაზარი ქვა და დადვა სამხრეთის ბალავერზე, ხუროთ-მოძღვარმა იგი გონიოში გამოიყვანა და ზედ მზის საათი მოხაზა წირეა-ლოცვის შესატყობლათ.

ტაძრის კედლები სარტყლამდე რომ მოათავეს, დიდმა მეფემ მოისურეა ტაძრის სარტყელზე ასვლა, რომ შეეტყო სრულის ხუროთ-მოძღვრების წესზე იყვენ აგებული კედლები თუ არა. შემდეგ მან ამ სიმაღლიდან გადაავლო თვალი თავის თვალ-გადუწვდენელს საქართველოს, რომელიც მავის ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდე მთა-გორებათ და მობიბინე ყანა-მინდვრებათ დაეფინებოდა.

შორს სამხრეთით არარატისა და მისის თოვლიანს ქედებს იქით იმ დროს სელჯუკებისა და არაბის ტომის ხალხები მაკიადის სარწმუნოებას აღიარებდნენ. ისინი იყვნენ მოსისხლე მტრები ქართველ-ქრისტიანებისა. დიდი ხანი არ იყო მას აქეთ, რაც დიდს მეფეს ისინი დაემარცხებინა და საზღვარს იქით გაეყარა. იმათი გული შურით იყო

ავსებული და კბილის ხრკენით უბლვერდენ / ჩვენს ქვეყანას და მის დიდებულს მეფეს დავითსა, რომლისთვისაც ჯერ-ჯერობრივი ბა ველარ გაებედნათ.

მეფე დიდხანს იყო დაფიქრებული, იდგა უძრავათ ტაძრის სარ-ტყელზე და გულში ფიქრობდა: „დედავ ღვთისაო, შენსა სახელზე ვაგებ ამ ტაძას; შენ დაიფარე უსჯულოთაგან ჩემი ქვეყანა!“....

ამ დროს მან უნდამურათ გადადგა ფეხი ტაძრის სარტყლიდან და გადმოვარდა. ეს ცუდის ბედის მომასწავებელი იყო. მეფე დამტვრეული, რომლის დიდებულს სახეს აღარ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანი, გადაიტანეს იქვე აგებულს საზაფხულო სასახლეში. თორმეტი მლვდელთ-მთავარი მუდამ დღე დილა-საღამოთი იხდიდენ პარაკლისს მეფის დღეგრძელობისთვის და იმის მოსაჩინათ. ყოველ კუთხიდან მოუწოდეს მკურნალებს. ვერაეინ რა არგო; მხოლოდ ამ დროს მოვიდა ერთი მოხუცებული მათხოვარი, რომელმაც განაცხადა მეფის წინაშე სიზმარი: მე მეზმანა, მეფე მორჩებაო, თუ მას აბანებთ ირმის ჩატარო.

იყო ამ დროს ერთი ვინმე კაცი, სახელად აბშანდაძე. დარუბანდიდან ტყვეთ წამოყვანილი, მეფისაგან განთავისუფლებული და მისგან დიდათ დასაჩუქრებული. მას ჰყავდა თორმეტი ირმის ფური. რომელნიც ყოველ დღე იწველიდენ ერთს ქვაბს რძეს. აბშანდაძემ მოართვა მეფეს ეს თორმეტი მეწველი ირმის ფური. რომელთ რძეშიც მეფეს დილა-საღამოს აბანებდენ. ამ საშუალებით მეფე განკურნა სრულიად. მოხუცებული მათხოვარი ეძებდს, მაგრამ ველარსად ნახეს; აბშანდაძე კი გაპხადა მეფემ თავის კარის კაცალ, მისცა ციხე და სოფლები არგვეთში.

დიდის მეფის მშვენიერი სურათი არის დახატული ჩრდილოეთის კედელზე შიგნით გელათის ტაძარში. მისი სიმაღლეა სამი ალაბი. მის დიდებულს სახეს ამშვენებს სქელი წითური წვერები, თავს ჰელ-რაც თუშური ნაბდის ქუდი და მარჯვენა ხელით უჭირავს გელათის ტაძარი. ლრუბლიდან გამოწვდილია ღვთის მარჯვენა და კურთხე-

ეს აძლევს დავით აღმაშენებელს. მთელს სურათს აჩნია კუალი სუ-  
ლისა და გვამის ძლიერებისა.

მისი ბეჭედი, მამის, მეფის გიორგისაგან, სამკიდროთ გადმო-  
ცემული, ღლესაც არის გელათის სალაროში. ეს ცერის ბეჭედი ისე-  
თი დიდია, რომ ერთს ნახევარს ვაჟაცის-ცერზე წამოეტევა. ბეჭე-  
დია დაყურსული ოქროსი, მშვენიერი სევადით მოვარაყებული. თუ  
ძალიან არ დააკვირდა კაცი, ვერ შეატყობს ამა სევადის გარემოე-  
ბას. ლამაზი და ხუცური ასოებით შემდევი ზედ წარწერა აქვს:



„წმინდაო გიორგი, მმოსავი შენი გიორგი  
ძალითა შენითა ვსძლევ მტერთა ჩემთა“.

ბეჭედის თავზე მართლაც წმინდა გიორგი არის სამხედრო ია-  
რალში გამოწყობილი და ხელში უჟირავს ფარი.

ვ. წერეთალი

(შემდევი იქნება)



## წ ე ლ ი ს ს ა მ ე ფ რ



იღია და თვალ-გადუწვედენელი წყლის სამეფო. ათასფე-  
როვანი და აუარებელი სულდგმული ცხოვრობს ამ სა-  
მეფოში. დიდი უსამართლობა და ავკაცია ტრიალებს  
ამ სამეფოს მცხოვრებლებ შორის: ერთი მეორეს ვერ  
პირობია, მეზობელს მეზობელი ვერ გაუტანია, ერთმა-  
ნეოს ჰელოვენ, ჰელეტენ, სჭამენ. ჰელავენ ყველა ამ უსამართლო-  
ბას, მაგრამ ვერავისთვის შეუჩინიათ. ან კი როგორ შესჩიონ. რო-  
დესაც უენონი არიან, მუნჯნი. ხომ გაგიგონიათ, თევზს რა უთქვამს:  
„ბევრი რამა მაქვს სათქმელი, მაგრამ პირი წყლითა მაქვს საესეო!“  
ენა რომ ჰქონოდათ კი, რამდენს გაჭირვებას და თავიანთ ვარამს  
შემოგვეჩივებდნენ, რამდენს რას გვიამბობდენ.

აი თუნდ თევზები ავილოთ. ყველაზე დაბრიყვებულნი ამ წყლის  
სამეფოში ეს უბედურნი არიან. ვინ არ ემტერება ამ საწყლებს?  
აბა შეპხედეთ ამ აყლაყუდა ფრინველს, —ყარყატს ეძახიან სახელად, —  
კისერი რომ აქლემსავით გაუგძლებია და ცალი ფეხით წყალში ჩა-  
მდგარა, —არ გეგონოთ კი, რომ ასკინკილას თამაშობდეს, —არა  
თევზს შეექცევა.

დიალ, ფრინველი დიდი მტერია თევზისა, მაგრამ არც ოთხფე-  
ხი ცხოველი აიცილებს ხოლმე ცხეირ ზევით, თუ კი მოიხელა საღ-  
მე. გეცოდინებათ, ჩეენ წყნარ და მსუნავ ციცუნიას თავი როგორ  
უსიკედება თევზისთვის და თუ ყოველ დღე ვერ შეექცევა, ეს მხო-  
ლოდ იმიტომ, რომ ოთხშაბათ-პარასკევს ერიდება, მარხვის გატე-  
ხა არ უყვარს; ცოტა ნაზიკა ბძანდება, წყალში ფეხის დასველება  
ეჯავრება.

ფრინველებს ან ოთხფეხებს ვინ დაემდურება, როდესაც თითონ  
თევზებიც ერთმანეთს არ ინდობენ. აქაც ღონიერი ულონოს ჰბრი-  
ულობს, დიდი პატარას სხავრავს და სჭამს. პატარა ჭიჭინა თევზს  
სიცოცხლე აქვს გამწარებული ამ დიდრონ თევზებისაგან: აქო და

დიდობონები გართ, დიდი მაღა გვაქს და ხახაც დიდი მოუცის ჩვენ-  
თვის ღმერთსაო, დადიან მუდამ პირ-დალრენილები და ურუკებრინის  
ვანთ გაუმაძლარ მუცელში საბრალო პატარა თევზებს.

ადამიანი ხომ ყველაფერში თვალხარბია და გაუმაძლარი! ამას:  
თან პირის პატივიც უყვარს, გემოც იცის, და თევზი, ხომ ყველაზ  
იცით, რა გემრიელი საჭმელია. მართლაც და ისე საშინლად არაენი  
აწყობს თევზს, როგორც ადამიანი. შორეულ ამბავს არ მოგიყვე-  
ბით,—ესეც გაგაკვირვებთ, როდესაც გაიგებთ, რომ მარტო ჩვენი  
მტკვრის შესართავში და კასპიის ზღვაში წელიწადში ოცდა ხუთ  
მილიონს ფუთს თევზს იჭრენ. მარტო ამ ერთ პატარა ალაგას თუ  
ამდენს თევზს იჭრენ წლის განმავლობაში, თქვენ თითონ წარმო-  
იდგინეთ, რამდენი ოცდა ხუთი მილიონი თევზი უნდა იჭირებოდეს  
და იჭმეოდეს მთელ დედამიწის ზურგზე.

—თუ ასეაო,—იყითხავთ:— მაშ ხომ აქამდინაც სულ უნდა გა-  
წყვეტილიყო ქვეყანაზე თევზი?

სწორედ ასეც მოხდებოდა, რომ ბუნებას არ ეფიქრა ამათთვის.  
საჭმე ის არის, რომ თევზმა საკირველი მოშენება იცის. მაგალითად,  
ორაგული ოცდა ხუთი ათას ქვირითს (თესლს) ჰყრის წელიწადში, ზუთ-  
ხი—შეიდ მილიონს. ერთი პატარა თევზია კიდევ,—ვირ-თევზას ება-  
ხიან,—აი ეს ვირ-თევზა ცხრა მილიონ ქვირითს ჰყრის წელიწადში.  
აბა ეხლა სცადეთ და დათვალეთ, მარტო ეს ერთი ვირ-თევზა რამ-  
დენს თევზს მოაშენებდა, რომ ერთი მარცვალი ქვირითიც არ დაი-  
კარგოს და ეს ცხრა მილიონი სულ თევზებად გადიქცეს... ნუ ეს-  
დებით,—დათვლით კი არა, წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენთ, რა-  
უარებელი თევზი მოშენდებოდა!

... ესე რომ იყოსო, — კიდევ იყითხავთ გაკვირვებული:— მაშ  
ხომ ყველა წყლები და ზღვები თევზით უნდა გავსებულიყო და  
მთელი ქვეყანა ამათ უნდა დაეჭირათო?

დიალაც რომ ასე იქნებოდა, მაგრამ ბუნებას აქაც ცოტა სხდე-  
ნაირად დაუწესებია და ადამიანსაც ხელი კარგად მოუწყვია ბუნების-  
თვის. საჭმე აი რაშია. მალიან ცოტაა ისეთი თევზი, რომელსაც



პირდაპირ ცოცხალი თევზები ებადება. უმეტესი ნაწილი უქვეითოდა  
ჰყრის და მერე ამ ქვირითიდგან იჩიცება თევზი.


უნდა გითხრათ, რომ მდინარე წყლებში იმდენი თევზი არა  
უხოვრობს, რამდენიც ზღვებში. მაგრამ, საკვირველია, რომ, თი-  
თო ოროლა თევზის გარდა, უმეტესობა მდინარე წყლებში ამოდის ქვი-  
რითის დასაყრელად. ზღვა თითქოს დროებითი საცხოვრებელია, ისე  
როგორც ფრინველები ცხელ ქვეყნებში ზამთარს ატარებენ და მო-  
საშენებლად კი ჩვენში მოდიან. მოდიან თევზები ზღვიდგან ბლომად.  
ფარა-ფარად და ისე ავსებენ წყალს, რომ ნაეიდგან ნიჩბებს ვეღარ  
ჩატანენ ხოლმე.

## II

თევზი გაზაფხულზე დაიწყებს ხოლმე სიარულს, მხოლოდ თი-  
თო-ოროლა თევზმა შემოდგომაზე იცის წამოსველა, როგორც მა-  
გალითად ორაგულმა და შამაიამ. მეთევზებმაც კარგად იციან ეს დრო  
და აი მოედებიან ხოლმე და დღე და ღამ იჭერენ აუარებელ თევზს.  
თითო ბადეში ხშირად ათასობით მოჰყვება ხოლმე წყრილი თევზი.  
პატარა ყმაწყილები პირდაპირ ხელით იჭერენ წყლის პირას და კალ-  
თაში იყრიან. ნახევარზე მეტი ჯერ ასე იჭირება გზაშივე. და გზა  
კი დიდი აქვთ გასავლელი. /ხშირად ათას და ორი ათას ვერსტის სი-  
შორეზედ მიღიან ზღვიდგან. ქვირითის დასაყრელად მყუდრო, მივა-  
დნილს ალაგს ეძებენ. იპოვნიან ასეთს ალაგს, დაჰყრიან ქვირითს და  
მატოვებენ ლეთის ანაბრობაზე.

საკვირველი უჯიგრონი არიან თევზები: რა მოუვა ქვირითის, ან  
ქვირითიდგან რომ პაწია თევზები გამოიჩიცებიან, ვინ ყოლებათ პა-  
ტრონი და მომელელი. — ამას სრულიად არა ფიქრობენ. ამიტომაც  
არის, რომ დიდი მადლობა უნდა შესწირონ ღმერთსა. თუ ათასში  
ერთი ქვირითი მაინც გადარჩა და თევზად გადიქცა. უპატრონოდ და-  
რჩენილი თესლი ზოგი წყალს მიაქვს, ზოგ შლაში წაპრიყავს;  
ბერს ფრინველი სჭამს, რაც წყალში პაწია ცხოველები არიან,  
ისინიც ამათი მოიდგამენ ხოლმე სულს. ადამიანი ხომ, რაღა თქმა  
უნდა, აქაც სხვას არ ჩამოუვარდება: ის ნიზილალა, რომელსაც ჩვენ  
ისე გემრიელად შევექცევით ხოლმე, სწორედ აი ეს თევზის ქვირითია,  
თესლი, — სხვა კი არა გეგონოთ რა.

როგორც ზემოდა ვსთქვით, თევზები უჯიგრონი არიან, უკანონი ვიანთ შეიღებზე სრულიად არა ფიქრობენ, მაგრამ უკანონი იქნება, ყველა თევზს დავწამოთ ეს. პირაქით, არიან ისეთი თევზებიც, რომელნიც დიდს სიყვარულს იჩენენ. საკვირველია, რომ ასეთი ჯიგრიანები არიან ის თევზები, რომელნიც ცოტა ქვირითს ჰყრიან. აი, მაგალითად, ზღვაში ცხოვრობს ერთნაირი თევზი, რომელსაც ზღვის ცხენ-თევზას ეძახიან.



სურ. 1.

ამ თევზს, როგორც სურათზე ჰქედავთ (სურ. 1), მუცელზე პარე აქვს. დედალი რომ ქვირითს დაჰყრის, მამალი ამ პარეში იწყობს და ასე ატარებს, მანამ ქვირითიდგან თევზები არ გამოვა. პარაწყინტელა თევზები მშობელს უკან დასდევენ და, თუ, ვინიცობაა, რაიმე განსაცდელი მოელით, მაშინვე მშობლისკენ გაექანებიან, და ისიც ისევ ამ პარეში ჰმალავს.

აი კიდევ მეორე თევზი, რომელსაც ეკალა-თევზს ეძახიან სახელად. ეს ეკალა-თევზი უფრო მეტს ჯიგარს იჩენს. მოჰკრებს ზღვის ბალახს, ფოთლებს, ლეროებს, პირის ნერწყვით აკრავს ერთმანეთს და ნამდვილს ბუდეს აკეთებს, სწორედ ისე, როგორც ფრინველები აშენებენ ბუდეს. დედალი დაჰყრის ქვირითს ამ ბუდეში, სამოცს-სამოც-და-ათს მარცვალს, მეტს არა, და დედალ-მამალი ჯერ-ჯერობით ჰყარაულობენ და უკვლიან, რომ ქვირითს არა ევნოს რა. გამოვლენ პარაწყინტელა თევზები, და დედ-მამა არც ამათ სტოვებს უნუკეშოდ, — მანამ კარგად არ მოიზდებიან და არ მოლონიერდებიან, მშობლები თავს დასტრიალებენ, ბუდიდგან არ უშვებენ და თუ მტერი მოესია, ზედ შეკვედებიან და ცოტლები კი შვილებს არ დაუთმობენ.



რაკი მოიზდებიან, მაშინ თითონ უნდა იზრუნონ თაერიანთ და გვერდები თევის, თითონ უნდა იპოვონ საჭმელი.

მერე რას სჭამენ და ან როგორ შოულობენ თევზები საჭმელს? რა გიაშბობთ და ბევრს საკუირველ ამბებსაც შეიტყობთ.

### III

გენახვებათ ტყეში, მინდორში ნაყარი ფოთოლი, ბალახი, მარცვალი და ბევრი სხვა ამისთანა. ყველა ეს წეიმის წყლისაგან ლპება და მერე ნიაღვრებს მდინარე წყალში ჩააქვს. ჩაივლის მდინარე წყალი ქალაქებზე, აქაც მოჰკრეფს ყოველ გვარ ნაგავს, ნაყარს, ნაჭამს და გასწევს თავისთვის ზღვისაკენ. გზაში ყველა, რაც წყალს მოაქს, იხრწნება, იშლება ნაწილ-ნაწილ და ბოლოს ისე გაიძნება ხოლმე, როგორც შაქარი წყალში.

ამ დაშლილ ნაწილებით იკვებებიან პატია თვალთუბილავი ცხოველები, რომელთაც ინფუზორიებს ეძახიან; ინფუზორიებს სჭამენ პატიაწინტელა ლოკოკინები, კიბორჩალები, და ამათ კიდევ შეექცევიან პატარა ჭიჭიყინა თევზები.

ასე, ბუნებაში არა იკარგება რა: ის, რაც ჩვენ უვარვისად მიგვაჩინდა და გადავყარეთ, თევზად იქცა და ამ სახით უკანვე დაგვიბრუნდა!..

კიდევ კარგი, თუ ჭიჭიყინა თევზს პატარა კიბო და ლოკოკინა მაინც ერგო საჭმელად, თორემ ბევრი ამასაც ვერ ეღირსება ხოლმე. მაგალითად, ერთი პატარა თევზია, — კლდის თევზს ეძახიან, — და აი ეს თევზი სულ წყლის ბალახსა სჭამის, ისიც შიშით და კანკალით. ულონოა საწყალი და ყველა ამას ემტერება. ცახცახით, გულის-კანკალით გამოჰყობს თავს ბუდიდგან, მივა ბალახში, ტუჩებს მოიცმუცნავს, ცოტად პირს მოატყუებს და გარბის სსვე გულხეთქებით თავის საფარში. მარხულობა ამასაც მოეწყონება ხოლმე, მოუნდება ხორცი, მაგრამ შხამად კი ჩაუვლის ხოლმე სულ-წასულობა და ლორმუცელობა: დახვდება რომელიმე პირდალებული წყლის-ავაზაკი, — ყლაპ!.. და გაქრა საწყალ კლდის-თევზის ხსენება და სახსენებელი ამიერ და უკუნისამდე!



დიდი ავაზაკები არიან ეს დიდრონი თევზები! გამატონებულან  
ეს გაუმაძლები, დაუბრიყვნიათ საწყალი ჭიჭინა თევზები და მი-  
სვენებას არ აძლევენ, სულ მუსრს ავლებენ. დაბალი ღობე რომ გა-  
დათელოს კაცმა, კიდევ არაფერი, მაგრამ წარმოიდგინეთ ამ დიდ-  
რონ თევზების თავგასულობა,—ისე წაქეშებულან, რომ ხშირად  
ადამიანსაც არ ერიდებიან. აი მაგალითად დიდ ზღვებში ერთი უზარ-  
მაზარი თევზია,—ნათელ-თევზა ჰქეიან სახელად,—და არ დაიჯერებო,  
უოცხალ ადამიანს გადაჰყლაპავს ხოლმე; თუ ხელთ იგდო, და ისე  
გადაჰყლაპავს, რომ თვალსაც არ დაახამხამებს.


საზოგადოდ, თევზები საჭმელს არ ჰქეივენ, და არც კბილები  
აქვთ სალეჭად. კბილების მაგიერ ეკლებსავით პატარა ხორკლები  
ასხიათ, უკან გადახრილი. ამ ხორკლებით საჭმელს იქრენ მხოლოდ,  
მანამ გადაჰყლაპავენ. მერე ხახას გააღებენ და საჭმელს ისე, ბრმა  
სვავიეთ, დაუღეჭავს გადაჰყლაპავენ.

გადაჰყლაპავა კი, ღვთის მაღლით, არ გაუქირდებათ,—ისეთი  
მოხეშილი ხახა აქვთ, რომ გეგონებათ უჩიმის ბურაო მოუტრიალუ-  
ბიათ და მოუფლეშიათო. ამიტომაც არის, რომ ზოგიერთი თევზი,  
მაგალითად ქარი-ყლაპია, უოტად თავისზე პატარა თევზებს აღვილად  
ჰყლაპავენ. საძგელი. მონავარი რამ არის ეს ქარი-ყლაპია თევზი:  
მუცელი მოუშვეა და არამც თუ უცხო ტომისა და გვარის თევზებს,  
თავის მოძმე ქარი-ყლაპია თევზებსაც არ ინდობს, და უცელას ამისა-  
გან შიშის ზარი აქვს დაცემული.

მაგრამ ნათელ-თევზაც და ქარი-ყლაპიაც ღმერთმა შეარცხე-  
ნოს აი ერთ თევზთან, რომელიც ატლანტის ოკეანში უნახავთ. ეს  
თევზი სწორედ სასწაულს ჩადის: ისეთს თევზებს ჰყლაპავს, რომელ-  
ნიც ერთი სამად ამაზე დიდრონნი არიან. თევზი კი არა, თვალთმაქ-  
ცია რაღაც. ქართული სახელი არა აქვს ამ თევზს, ლათინურად კი  
ხიასმოღუსი ჰქეიან. ეს თევზი სამი ვერსტის სილრმეზე იპოვეს ზღვა-  
ში. მართლა რომ, ქვესკნეთში თუ მოინახებოდა ასეთი დუბჭირი და  
მახინჯი!

—თავისზე დიდრონ თევზებს რომ ჰყლაპავს, მერე სად იტევსო?—

იყითხავთ.—აი დაპირებეთ სურათს (სურ. 2) და თქვენ თითონ მიმდინარეობის შესაბამისობას



სურ. 2.


ბით;—ხომ ჰედავთ, გულზე ჩაღაცა რომ ჰყიდია, თითქოს თოფუ-  
რაკია, ცხენს რომ ქერს მისცემენ ხოლმე. აი სწორედ ამ თოფრაკ-  
ში იღავებს გადაყლასულ თევზს და მერე ნელ-ნელა ინელებს.

IV

კარგია, ვისაც ისეთი ძალა და ღონე მოსდევს, როგორც, მა-  
გალითად, ნათელ-თევზა, ქარი-ყლაპია,—ვისაც არა, იმათ რაღა  
შენან? კამა ხომ ყველას უნდა?

შემშილით არავინ იხოცება. ხომ გაგიგონიათ — „ხერხი სჯობია ღო-  
რესაო.“ და მართლაც ზოგიერთ თევზს ისეთი ხერხი მოუგონია საჭმ-  
ლის საშორად, რომ სწორედ გაიოცებთ. გიამბობთ ორიოდე მაგალითს.

ერთი თევზია, რომელსაც ზღვის ალქაჯს ეძახიან. მართლაც  
რომ ჰგავს კიდევ ალქაჯს (სურ. 3). აი სურათზე ხომ ჰედავთ, თავზე ჩა-  
ღაცა რომ ასხია ძაფები-  
ვით, გეგონებათ ხის ტო-  
ტებიაო. ეშმაკია ალქაჯა  
და ეშმაკურადაც იქცევა:  
წაეხვევა ქვიშაში, ისე რომ  
სრულებით აღარა სჩანდეს,  
თავის ძაფები კი ზემოდ  
აქეს ამოყოფილი და ათა-  
მაშებს. უკუკუ თევზებიც  
სულელურად ტუკდებიან,  
ჰერნიათ, ჭიანყელებიაო,  
რომელიც თევზებს ძალიან




სურ. 3.

უყვართ, გაექანებიან ხოლმე გახარებულები და სტაციონერული უკანასკნელი გაიძერა ალქაჯსაც ეს უნდოდა: უცბად ამოჰყოფს ქვიშიდგაზ თავს და მოტყუებულს თევზს ყლაპას გაადენს პირში.

ასე იქცევა ლოქოც. ხომ გინახავთ, ლოქოს გძელი ულვაშები. ამ ულვაშებით იტყუებს ესეც თავის საყილო მსხვერპლს.

ამერიკაში ერთგვარი გველ-თევზა (სურ. 4), რომელსაც ელექტრონი აქვს. შეეხება თუ არა ეს გველ-თევზა ნიშანში ამოლებულს მსხვერპლს, მაშინვე ელექტრონი იჩენს ძალას და ვისაც კი ეს ძალა შეეხება, უცბად დაპნედავს ხოლმე. ზოგიერთი ამ თევზებში ისეთი მძლავრია, რომ აღამიანსაც კი დასცემს ხოლმე ძირს. ამიტომ ამერიკელები დიდის სიფთხილით იქცევიან.



სურ. 4.

როდესაც ამ თევზების დაჭერა უნდათ. ჯერ წყალში ცხენებს შევრეკენ, და როდესაც გველთვეზები კარგად მოილლებიან და მთელს ძალას ამათ შეალევენ ზედ, მერე უშეშრად შედიან და იქცრენ.

ამ კიდევ ერთი კარგი მაგალითი. გენახებათ, წყლის პირად ხშირად ხეები და ჯაგები ტოტებს დაბლა დაუშვებენ ხოლმე, თითქმის წყალში აბანავებენ. ძალიან უყვართ ასეთი ალაგები ჭია-ღუას და ათასობითაც ეხვევიან ხოლმე, მეტადრე ცხელ მზიან დღეებში. შექხდეთ, რა მხიარულობაა: ერთ, წყალში დაშვებულ, ტოტზე ბლომად შეყრილან ბუზი ბზუილა, კოლო ზუზუნა, ჭრიჭინა დაულალავად მოკრიჭინ-მომღერალი და გააქვთ ერთი ამავეი. ან კი რატომ არ იქნებიან გახარებულები: ზემოდამ მხიარულად დასცერით მზე და ათბობთ, ქვემოდამ კიდევ გრილი წყლის სიო უბერავს სასიამოვნოდ!..

ჩუ! წყალში ეს რა მოცურავს? აგერ თავი ამოუყვარა სრულებით წყლიდამ, ჩუმად მოდის, მაღლა იყურება და რაღასაც უთვალთვალებს... აგერ ამავე დროს ხის ტოტზე ერცი მწვანე, მოზდილი და მსუქანი ბუზი შემოჯდა. უცბად ვიღაცამ ქვემოდგან წყალი შემოაშავ-



პუნა და ისე ძლიერ, რომ საწყალ ბუზს გული შეუწუხდა, და წყალში ტყაპა გასცვივდა. აგრე რაღამაც პირი დააღო და ბუზს ჭულაპა გაადინა.

რა მოხდა, ან ვინ იყო ეს, წყალი რომ შეაშხაპუნა? თევზი იყო, სწორედ აი ის, რომელიც ისე ჩუმად მოცურავდა. ამ თევზმა შეაშხაპუნა ბუზსაც წყალი. ეს არის იმის ისარი და თოფ-იარალი. და უნდა გითხრათ, რომ ძალიან მარჯვედაც ხვარობს იარაღს, ვერც ერთი მონადირე ვერ შეედრება ამას. თუ კი ნიშანში ამოიღო, არასოდეს არ ააცდენს. შეამჩნევს თუ არა საკბილო ბუზს, თუ სხვა ამის მაგვარი იქმნება რამე, მაშინვე პირს წყლით გაიცხებს და თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებს ადამიანი, რომ შეაშხაპუნებს ისე-თის ძალით, გეგონებათ ტყვიათ გატენილი თოფი ისროლესო. შეაშხაპუნებს — და მსხვერპლი მჩად არის. ამიტომაც ამ თევზს შხაპუნა-თევზს ეძახიან.

ასე წყლის სამეფოდგან გავიცანით ცოტად მაინც თევზების ცხოვრება. მაგრამ, როგორც თავშიაც ვთქვით, წყლის სამეფო დიდია და თევზებს გარდა ბევრი სხვა სულდგმულიც ცხოვრობს იქ. ამ ხანობით ეს ვიკაროთ და შემდეგში, ღმერთია შემწე, სხვების აშებსაც გავიგებთ.





## ოქროსმატელოვანი ვერმი და იაზონი



ეტესმა დაიბარა ერთგული კაცები და უბძნა: მჩად  
იყავით და მოჰკალით იაზონი, როგორც კი ფეხი შე-  
მოდგას სასახლეში.

მედეამ ეს ყველაფერი შეიტყო, გაიპარა სახლიდგან და უთხრა  
იაზონს: ახლავე წადი და შენვე ჩამოხსენ ოქროს-მატყლოვან  
ცხვრის ტყავი, თორემ იმას ნუ ჰვიტრობ, რომ მამა ჩემმა ის შენ  
დაგანებოსო; ის-კი არა და იმან ბძანება გასცა, რომ შენ მოგვლანო.


როგორც-კი დაღამდა, იაზონ შეიარალდა და წაეიდა იმ ჭა-  
ლაში, სადაც ცხვრის ტყავი იყო დაკიდული. იაზონს შორიდგან  
მოესმა გველეშაპის სისინი და მისი ქერქლების ჩხრიალი. როდესაც  
იაზონი მუხას მიუხსლოვდა, გველეშაპი საზარლად დაიკლაკნა და  
იმდენი ცეცხლი წარმოადინა პირიდგან, რომ ცა წითლად შეიღება:

იაზონმა ამოილო მაშინ მედეასაგან მიცემული ბეჭედი და გა-  
დაუგდო გველეშაპს. იმ წუთასვე დაპშრტა ცეცხლი. იაზონმა ფიც-  
ხლავ, თვალის დახამხამებაზე, იძრო მახეილი, მიჰეარდა ვეშაპს, დაპ-  
კრა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და შუაზე გააპო. გველეშაპი  
დასუსტდა და ვეღარ შეიძლო ბრძოლა. იაზონმა კიდევ დაპკრა  
მახეილი, დაპკრა ღონიერად და საზარელმა გველეშაპმა სული განუ-  
ტევა. მერმე მისწვდა იაზონ ოქროს-მატყლოვან ტყავს, ჩამოხსნა,  
გადაიკიდა და გახარებული დაბრუნდა თავის ამხანაგებთან. ამ დროს  
მედეაც მოვიდა მასთან.

იაზონმა უთხრა ამხანაგებს: „საწადელი ჩვენი ასრულდა! ნუ-  
ღარ დავაყოვნებთ, გზას ვეწიოთ, თორემ საცაა ოეტეს შეიტყობს  
ყოველსავე და ცოცხალს არავის გაგვიშვებს აქედგან. წაეიდეთ ჩქა-  
რა ჩვენს საყარელს საბერძნეთში“.

არგონავტებმა იმ წუთასვე აუშვეს ხომალდი და გაეშურებ  
ზღვისაკენ.

\* \* \*



ოეტესმა მეორე დღეს გაიგო ოქტოს-მატულოვან ტუპლუბეჭვები  
ტაცება და თავს ზარი დაცეა. მასუკან ისიც მოახსენეს, უკრძალებული  
გაპარულა და იაზონს გაჰყოლიაო. მაშინ მიპევდა, რომ ეს ყოვე-  
ლივე მედეას მოხერხებული იყო და მწუხარება გაუორკეცდა.

—ოჟ, ღმერთო, რად შემასწარ ამისთანა დღესაო! — ამბობდა  
ოეტეს: — რად მომეც შვილი, რომელმაც უცხო კაცს ანაცვალა თავის  
დედ-მამა და სამშობლო ქვეყნის ძეირფასი განძიო!

განრისხებულმა ოეტესმა ფიცხელი ბძანება გასცა, რომ საჩქა-  
როდ შეიარაღებულიყვნენ და დასდევებოლნენ უკან არგონავტებს.

კოლხიდელებს ბევრი კარგი და მსწრაფლმავალი ხომალდი  
ჰქონდათ. საჩქაროდ ჩაუშვეს ზღვაში ხომალდები და გამოუდგნენ  
უკან არგონავტებს. პირ-და-პირ სიმპლეგადის კლდეებისკენ გასწიეს;  
უნდოდათ გაესწროთ არგონავტებისათვის და იქ შებმოლნენ, იმ  
ვიწრო სრუტესთან, მაგრამ მოსტყუდნენ. არგონავტებმა სხვა გზა  
აირჩიეს: აპყვნენ მდინარე ისტრს (დუნაის), იქითგან გადავიდნენ  
უკანში, მერმე შევეიდნენ ხმელთა შუა ზღვაში და ბოლოს, დაქან-  
ცულები ხანგრძლივის მეზავრობით და ბევრის გაჭირვებით, რო-  
გორც იქნა, ელირსნენ თავის სამშობლოში დაბრუნებას. კოლხიდე-  
ლები კი სიმპლეგადის კლდეებამდის მივიღნენ და იქ დიდხანს იდა-  
რაჯეს. მერმე დარწმუნდნენ, რომ არგონავტები სხვა გზით იყვნენ  
გაპარულნი, დაბრუნდნენ. ისევ თავის ქვეყანაში, მაგრამ ძლიერ  
გულნაკლულად კი იყვნენ იმის გამო, რომ შემთხვევა არ მიეცა  
არგონავტებთან შებმისა. კოლხიდის ხალხი ძალიან გულმწყრალი  
შეიქნა ოეტესზე ოქტოს მატულის დაკარგვისთვის, ჩამოართვა მას  
გამგებლობა და მის მაგივრად სხვა აირჩია.

\* \* \*

იაზონი მივიდა იოლხს და წარუდგინა პელიასს ოქტოს-მატულო-  
ვნ ცხერის ტყავი, მაგრამ მეფემ გასტეხა თავისი სიტყვა და არ  
დაუბრუნა მას სამეფო. იაზონ აღაშფოთა ამგვარმა უსამართლო-  
ბამ და გადაწყვეტა, ძალა ეხმარნა და სულ გაეგდო პელიასი იოლ-



ხიდგან. საქეში იაზონის მეუღლეც ჩაერია. პელიასი მათთვის აკადემიური სასჯელი იყო, და რაც მას მედეამ დაჰმართა, წიროვანულების! თუ არა ბოროტი და გულგაქვავებული, სხვა ვერავინ იზამდა იმას, რაც მედეამ ჩაიდინა.

მედეა გარდაიქა მოხუც დედაკაცად, მივიდა პელიასის ქალებთან და ისეთი ოვალთმაქუბა აჩვენა, რომ საწყლები სულ დაღუპა. მედეამ უთხრა: მე ისეთი ლოცვა ვიცი და წამლების შეზავება, რომ, რაც უნდა ღრმა მოხუცი იყოს, გავაყმაწვილებო. დასამტკიცებლად დაკლა ბებერი თხა, დასჭრა მისი სხუელი პატარ-პატარა ნაკრებად, ჩაყარა ქვაბში, თან ჩაყოლა რაღაც ბალახები და დაუწყო ხარშვა. მერმე დაანახვა ქალებს, რომ იმ ქვაბიდგან პაწაწა თხის-შვილი, ციკნი, ამოხტა.

ამის მნახველნი პელიასის ქალები გაბრიყვდნენ და სოხოვეს: მოდი მამა ჩვენიც გააყმაწვილეო.

მედეასაც ეს უნდოდა. შევიდა მედეა პელიასის საწოლ ოთახში, ყელი გამოსჭრა მოხუცს და სულ ნაკუწ-ნაკუწად დასჭრა. საბრალო პელიასის ქალები გახარებულნი. იყენენ: ფიქრობდნენ, მამა გავიყმაწვილდებაო. მაგრამ ის იყო და ის— მასუკან აღარ პლირსებიათ მამის დანახვა! მაცდურმა მედეამ ჩაყარა ქვაბში დაკრილი პელიასი, დიღხანს ხარშა და მერმე უთხრა ქალებს: თქვენ აქ იყავთ, მე უნდა წავიდე და ცალკე ვილოცო, რომ კარგად გასჭრას ჩემმა წამლებმაო. გამოვიდა სახლიდგან და გაჰქრა. მაშინ გაიგეს პელიასის ქალებმა, რა უბეჭურობაშიაც იყენენ ჩაცვინულნი, და ბევრი ითავსემეს, მაგრამ რაღა დრო იყო.

იაზონმა დაიჭირა იოლები და დასვა იქ მეფედ თავისი მამა, თოთონ კი თავის მეუღლით გადაესახლა ქალაქს კორინთს..

\* \* \*

იაზონ და მედეა რამდენსამე წელიწადს თანხმობით სცხოვის რობდნენ, მაგრამ შემდეგ გული გაუგრილდა იაზონს მედეაზე.

იაზონ დაუმევობრდა კორინთის მეფეს-კრეონს. მეფეს ძლიერ

მოსწონდა იაზონი და მზად იყო, მიეთხოვებია მისთვის ქალაქის გადაცემა და მაგრამ ის გარემოება აბრკოლებდა, რომ იაზონი ცოლადან ჩაიშავდა.

ეს რომ მედეამ შეიტყო, ისე გაცეცხლდა, რომ მიეპარა მეფის სასახლეს, ცეცხლი წაუკიდა და შიგ დასწრა თითონ კრეონიც და იმის ქალაც. მასუკან დაგდო კორინთს თავისი ორი პატია ვაჟი და თითონ გაიქცა ქალაქს ათინას ეგვას მეფესთან. ამ სახით თავს უშველა, თორემ კორინთელები ცოცხალს დაჰვლეჯდნენ, — ისე იყვნენ გაბრაზებულნი მისი ცუდი საქციელით.

მედეამ ათინაშიაც ცუდი ქალობა გამოიჩინა და იქიდგანაც იძულებული შეიქნა გაქცეულიყო.

ასეა ყოველთვის: ვინც თავის მშობლებს მოიძულებს და თავის ქვეყანას უღალატებს, ის სხვებისათვისაც მავნებელია და ყოველგან სიძულვილს დაიმსახურებს. სადაც კი მივიდა ეს ქალი, რომელს ქალაქშიაც კი შესდგა ფეხი, ყოველგან უბედურება მოახდინა, და ამისათვის ისე შეიძულებს, რომ ყოველგნით სდევნიდნენ და წყვა-კრულვით მოიხსენებდნენ მის სახელს.



იაზონმა ბევრი ინალვლა, რომ ამისთანა მეუღლე არგუნა მას ბედმა. რამდენი სასიქადულო საქმე ჩაუდენია მას წინად! მისი გმირობა მთელს საბერძნეთში იყო განთქმული. მაგრამ მედეას საქციელმა ბევრი მწუხარება გამოატარებინა და გასტეხა, დააძაბუნა. ახლა აღარსად ისმოდა მისი გმირობის სახელი, და მხოლოდ წარსულში-ლა ჰპოვებდა ნუგეშს.

— მართალია, თითონ მე ამ ბოლოს დროს სიცოცხლე გამიმწარდა, მაგრამ ჩემს ქვეყანას ხომ დიდი განძი შევძინეო! ხომ დავუბრუნე მას ოქროს მატყლი, რომელიც ამშვენებდა სხვა ხალხის ქვეყანასაო? — იტყოდა ხოლმე იაზონ.

გადიოდა დრო და ჭამი. თანდათან ძეელდებოდა ხომალდი არგო, რომელმაც მოიარა იმისთანა შორი გზა; თან იაზონიც უძლურებაში შედიოდა. საოცრად უყვარდა გმირს თავის ბედნიერ



დროთა მოგონება და ამიტომ ხშირად წავიდოდა ხოლმეუკანის ჟაფრენის ყელზე არგოს სანახავად, რომელიც იდგა პოსეიდონის საკურთხეველში. მივიდოდა იქ, დაჯდებოდა იმას გვერდით და ოცნებობდა. მოაგონდებოდა ხოლმე ის დრო, როდესაც იგი კოლხიდაში გასამგზავრებლად ემზადებოდა და საბერძნეთის გამოჩენილმა გმირებმა ის აირჩიეს წინამდობლად; მოიგონებდა ყოველს გაჭირვებას, რაც კი შეხვედრიათ გზაში და მამაცურად გაღუტანიათ.

იმავე დროს ცხადად წარმოუდგებოდა თვალ წინ სურათი ოეტესის მძვინვარე ხარების დამორჩილებისა, რკინის მდევრებთან ბრძოლისა და ოქროს-მატყლოვანის მოტაცებისა... ამ, ორფეასის ქარიც თითქო ჟღეროდეს ამ ფამად და თავის მომხიბვლელი ჩვით ამკობდეს სახელოვან გმირებს.

ერთხელ, როდესაც იაზონი, ამ ტკბილ ფიქრებში გართული, დიდ ხანს იჯდა არგოსთან, დაიღალა და ჩასთვლიმა იქვე. ამ დროს დველი ხომალდი ერთბაშად დაინგრა და ქვეშ მოიტანა თავისი გმირი.

ა. ჭიჭიათვა

## ს უ ლ ე ლ ი ქ რ ი ს ტ ე ჭ ო რ ე

(ფრანგულიდამ)

**J**ერიგ სოფლებზე დედაქაცის ჰევანდზე ერთი შვიდი, ჰევანდზე ცოტაზე თხელი. სოფლებზე მას მარად ჰევანდთ აგდებული და დაზისტების სულელი ქრისტეფორე.

ერთხელ დედაბ გაგზავნა შვიდი თრთითის სასეიდლებდა. შინ რომ მოდიოდა, ისე უსეიროდ ეჭირდ სევაში თრთითი,



ორმ ხელიდამ გაუცერდა, ჩაუვარდა მიწის და ქაიზმულულებრ  
ჰელიტ.

— შე სულული, — უთხრა დედმ, — ძაღლი ხომ ბიცვენ-  
დი თბვიდამ, ართოთი რამ თვეში ას ბერძი ჩავერწო, —  
გზაზე ურთები ხომ დაუნვდებოდა.

— ვერ მოვისახოე, დედი! კვლავ ფთხილად მოვიქცევი,  
— სოქება თავზადუნულმა ქრისტეფორებ.

შრო ბერიას შეძლებ დედმ გაგზავნა შვილი ნემსების  
სასეიდლად და თან დაარიგა, არ დაკარგოვო.

— ნურა გეფიქრება რა, მოგიტან, — უთხრა შვილმა.

წავიდა და თავ-მოწონებით მალე დაბრუნდა.

— აბა, ქრისტეფორე, სად არი ჩემი ნემსები?

— ისეთ კა ადგილას შეგინახე რო! გამოველ თუ არა  
დუქნიდგან, საცა ნემსები ვიტიდე, ვნეხოთ, ჩვენ მეზობელი  
მოაქვს თივა. ავიდე და ნემსები მივ ჩავარწყე, — გენძის, რა  
კა ადგილას შეგინახე!

— ისეთ კა ადგილას შეგინახავს, შვილო, რომ ნოკა-  
ნითაც ვეღარ ვიტოვი, — უთხრა დედმ. როგორ ვერ მისვ-  
დი, რომ ქუდი გაგერწო!

— მანატიე, დედი! კვლავ სხვა საირად მოვიქცევი, —  
სოქება ქრისტეფორებ.

შრო ბერიას შეძლებ ქრისტეფორე წავიდა სხვა სოუქელ-  
ში გარაქის სასეიდლად. მაღიან ცხელოდა. ქრისტეფორეს  
მოაკონდა დედის დარიგება ქუდის თაობაზე და გარაქი  
ქუდი ჩაიდგა, თავ სედ დაისურა ქუდი და გასწია მინისკენ.

ადგილად მისვდებით, მინ როგორ დაბრუნდებოდა ჩვენ-

ნი ქრისტეფორე. გარაქი გამდნარიყო და უედ სიკონასხურა  
ჩამოსდიოდა.

დედა მალიან შეწუხდა და ამას  
იქით მნელზდ თუ გზავნიდა სხდეს.

ერთხელ, დედას რომ გაუჭირა  
და ბაზარში წასვლა, შვილის სე-  
ლით გაგზავნა გასასურდად ერთი  
წევილი ქათაძი.

— ური მიგდე, შვილით, ნუ კი  
მისცემ იმ ფასად, რასაც ნირვე-  
ლადგე შეგამლევენ, მოუკედე, მეოუ  
რედ რას მოუცემენ.

ბაზარში ქრისტეფორესთან მუიდველი მივიდა და უთხრა:

— მოიტა, სამ აბაზად მომე ქათმები.

— არ იქნება, გერ მოუცემ: დედა ჩემის დამაბარა, რომ,  
რაც ნირველად ფასი შეგამლიონ, ნუ მისცემო, — მოუცეადე, მუ-  
არედ რას გმტმვინო.

— დედა-შენს მართოდი უბრძანებია, მამ მეორედ გქვი  
შაური შემიძლევია.

— ნირველ ფასი რომ დავჯერდე, მერჩი, უფრო გრძ-  
ეო იქნება. მავრამ რაკი დედა ჩემის ბრძანება ასეა, დამითმია  
მაგ ფასად.

ეს იქო და ესა, — ამის შემდეგ ქრისტეფორეს ადარ დაასაქ-  
მებდა სოლმე დედა და გვერდიდამ არ იმორებდა, რადგან  
მველის აბუზად ჰევენდა აგდებული საბოადო ქრისტეფორე.

ერთხელ დედამ კურარ მოითმინდ და ერთი კიდევ დაა-  
საქმა შვილი.

წადი ბაზარში და ეს ცხევრი ვაძიებდე, და ვინძლო,



არ მოტევული. ვინც უფრო მეტი ფასი შეგაძლიანა მიჰყიდვ.

— კარგი, — უთხრა ქრისტეფორები, — ესლა მე კერარა ვინ მომატეულის. მე ვიცი ჩემი საქმისა.

— რა დირს ეგ ცხვარი? — ჰყითხა ერთმა ქასაბმა.

— დედა ჩემმა მითხრა, ვინც მეტი ფასი მოუცეს, იმსი მიჰყიდვე.

— ოთხ მანეთს მოუცე.

— მაგაზედ მეტს არავინ არ მომცემს?

— რას ამბობ, ვინ მოუცემს, ბევრიცა ვთქვი.

— მოდი ეგ ცხვარი თავ-ფეხიანად მე მომეიდეო, — სიცილით უთხრა ერთმა ქმაწვილამა.

— ჟენ რადას იძლევით? — ჰყითხა ქრისტეფორები.

— თორმეტს აბაზს.

— ეგ ხომ ოთხ მანეთს ნაკლები იქნებო, — სოჭვა მორცხვად ქრისტეფორები.

— მართლიან, ფული ნაკლებია, მაგრამ თორმეტი რომ ოთხს ჟედ მეტია.

— ჰყემმარიტს ამბობთ, ცხვარი თქვენიათ, — დასთანხმდა ქრისტეფორე

ამ დღიდამ ქრისტეფორეს აღარსად ვჲავნიდნენ — აღარც სასუიდლად და აღარც გასხსეიდად.



## ბ უ თ ნ ი ს უ დ ე დ ა

(„გავი”)

**Q**რთ კაცს ხენა არ ენახა. წავიდა მანდორში, საცა გუთნის მუშაობა ეგულებოდა. მივიდა, დაპხედა და გაკვირვებით წარმოსთქვა:

— დალოცვილს რკინის ნაჭერს რა ბევრი შესძლებია: ასე სწორედ, ღრმად როგორ მიაქვს კვალი და ასე მწყობრად როგორ გადაქვს ბელტო ბელტოზედაო!

გუთნის-დედამ ამ თქმაზედ ჩაიცინა.

— აბა ეხლა უცქირე, შენგან ნაქებს რკინის ნაჭერს რა უნარი აქვს, — უთხრა გუთნის-დედამ ცნობის-მოყვარეს, — და გაუშვა ორივ ხელი, სრულიად თავი მიანება გუთანს და ისე აედევნა უკან.

გუთანმა კვალი სრულიად არივ-დარივა და აღარც მიწა გასჭრა.

— ერიჲა! — მიუგო ცნობის-მოყვარემ: — თურმე აქაც კაცი ყოფილა თავ-და-პირველი მომქმედი; მე-კი მარტო რკინა დავინახეო.

ან-მან

---

## მოგლე ამბები ნათლი დედა და ნათლი

**B**ათლია სტუმრად ეწვია ნათლი-მამასა და იყითხა: — ნათლი-დედა სად არისო?

ქარმა უბასუხა: — ტიტველა არის და ვერ გეჩვენა, აი იმ გოდორს ამოეფარაო.

გაუმასპინძლდა ნათლიას ნათლიმამა. მეორე დღეს ნაფლრცფულე  
მოეთხოვა მასპინძელს და უთხრა:

— ამ ორ დღეში კიდევ მოვალ და ეგება ერთი საკაბე მოვუტა-  
ჭო ნათლიდედას, რადგან ასე ტიტველა ყოფილა.

ნათლიდედამ გოდრიდამ გამოსძახა: — წმინდა, წმინდა იყოს!

ნათლიდამ უპასუხა: — იმ ოჯახ-დაქუცეულის მოქსოვეილი მაგ გო-  
დორზე სხვილი ხომ არ იქნებაო?

## ჭრდილობიანი ჭაბუგი

ნასწავლი კაბუკი და ხანში შესული ვაჭარი ერთად დასეირნობ-  
დენ. გზაში შემოეყარათ გლეხი-კაცი და დაბლა თავი დაუკრა.

კაბუკმა ქუდი მოუხადა და სალაში მისცა. ვაჭარმა ვერ მოი-  
თმინა ასეთი თავის დამცირება და გაწყრომით უთხრა:

— რა თქვენი საკადრისია, რომ გლეხს თავს უყალრებთ და სა-  
ლაშს უბრუნებთო!

— განა ჩემთვის სირცხვილი არ იქნება, რომ უსწავლელმა გლეხ-  
მა მეტი ზრდილობა გამოიჩინოს ნასწავლ კაცზე? — მიუვო ზრდი-  
ლობიანმა კაბუკმა.



### ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. გლეხმა რა გაყიდა და პურიო,—რა იყიდა და პურიო.
2. ზეცას წერი მაურინავდა, კვეშ შამურს სთლილნეო.
3. გვერდ-სისხლიანს გვერდ-ტალაჩიანი სჯობიაო.

### გ ა მ თ ც ა ნ ე ბ ი

ერთსა რასმე სურიელსა სიჭრელე ახლავს ვეფხვისა,  
არც უნდა სახლის აკება, არც საზღო მოჭირვებისა,  
სული არ მაედინება თივა, ბზისა და ქერისა,  
იმის სახლსა და საბძელსა ცეცხლა ვერ დასწვანს მეზისა.

უქო სტუმარი გვეწვია, ჭულიდან გაუგებელი,  
საჭმელ-სასმელი მიეართვით, სუფრაზედ დაუდებელი.

მინდორს გავა, გაიშლება, ხმა მაუგავს კაკაბსა,—  
შენ ამას ვერ გამოიცნობ, ნუ დაიწყებ ყაყანსა.

საწოლის კარსა მისულან ყვავი, ყორანი, ჭილყვავი,  
შაშვი მისულა საშველად, წაუშვერია ნისკარტი.

გული ქვა, ზურგი ფიცარი,  
ორი თავი და რვა ფეხი.

ვისაც აქვს—რა არა აქვს!?  
ვისაც არა აქვს—რა ექნება?!

სასუმარო გამოცანა

ოთახში ოთხი კუთხეა, ყოველ კუთხეში თითო კატაა, ყოველ კატის წინ — სამი კატაა, ყოველ კატის კუდზედ კიდევ თითო კატაა — სულ რამდენი კატაა?

შარადა

ერთი ვინმე სულიერი  
უდარდელი და ნელია;  
მის სამშობლოს, დევს მძინარეს,  
ამკობს მთა-ბარი-ველია;  
ველს რომ ქარი წინ უქროდეს,  
გამოვა მის სახელია.

ღობობილი \*)

მთელი სიტყვა — სახელია ჩენი გამოხენილის პოეტისა.



მოაკელით წინიდგან ერთი ასო და გამოვა სახელი ქალისა, რომელიც ძეველ აღთქმაში იხსენიება.

მოაკელით კიდევ ერთი ასო და გამოვა სურნელოვანი ყვავილი, რომელიც აღრიან გაზაფხულობით მოდის.

მოაკელით კიდევ ერთი ასო და გამოვა პირველი ასო ყოველ ანბანისა.

რებუსი

რ 10



თუ ძძუ




\*) ლოგოგრიფი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სიტყვის შემოკლებას ასოების გამოკლებით თითო-თითოდ.



№ IV-ის გამოცანების ახსნაზე

1) საათი, 2) მერტხალი, 3) სადღობელი, 4) ხანული, 5) საჩქელი. სამათემატიკო გამოცანა: 1) სამ თუნგიანით ათ თუნგიანიდან ამოიღეთ ღვინო სამჯერ და აავსეთ შეიდ თუნგიანი, მაშინ სამ-თუნგიანში დარჩება ორი თუნგი; აიღეთ ახლა შეიდ თუნგიანი და ჩაასხით ათ თუნგიანში, მაშინ ათ თუნგიანში იქნება რეა. აიღეთ სამ თუნგიანში რომ ორი თუნგია და ჩაასხით შეიდ თუნგიანში, აავსეთ კიდევ სამ თუნგიანი და ჩაასხით შეიდ-თუნგიანში: ღვინო შეაზედ იქნება გაყოფილი. 2) რეა რომ ავაულოთ, ორი ამ გვარი ოთხკუთხი დარჩება, როგორიც მოხაზულია აქ (სურ. ა).



სურ. ა

ეპიტეზისი: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა.

ანაგრამა: ნიორი-რიონი.

სახუმარო გამოცანა: შეუძლებელია, რომ ადამიანი ჭრ-ზედ დაეცეს. 2) რუმბი საესე ყოფილა.

შარადა: ივერია. რებუსი: ყურძნი ტკბილი საჭმელია.

გამოცანები ახსნეს: ივანე დათოშვილმა (მერტხალი); სამა-თემატიკო გამოცანა ახსნა ბახვის სკოლის მოწაფემ შარა-შიძემ; ეპიტეზისი და ანაგრამა ახსნეს — ტფილისის სამოქალაქო სკო-ლის მეორე კლასის მოწაფემ ბაგრატ მიქელაშვილმა და ქუთაისის საზნაურო სკოლის მოწაფემ იონა ჩარკვიანმა.

შარადა და რებუსი ახსნეს: ტფილისში — მარიამ ფორაქოვი-სამ, ქ. გორში — დუშიკო ნატროევმა.

1890 წ. იანგრის თვიდგან  
ქ. ტვილისში

გამოდის, ორ თვეში ერთხელ, საუმაწვილო სურათებიანი  
ქ უ რ ი ს ლ ი

## ჯ ე ჯ ი ლ ი

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება  
ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბაზი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის  
ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები,  
მოგზაურობის და შესანიშნავ-კალთა ცხოვრების აღწერა, პოემები,  
მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათმაშონი და სა-  
ვარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცა-  
ნები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

კურნალში მონაწილეობის მიღება აღვითქვეს ყველა ჩვენშა  
საუკეთესო მუშაობა.

კურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან.,  
ტფილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ფტილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა  
ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორიში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტვილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში  
(Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“  
რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) ქუთაისში—ქ. ნიკოლაძისას.

3) გორიში—ქ. ვურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ვოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго  
дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორი-გამომცემელი ახ. თუმანიშვილისა



## „ო გ მ რ ი ძ“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.  
ვისაც ჰსურს დაიკვათოს გაზეთი აგ 1890 წლისათვის,

მ ი ჭ მ ა რ თ თ ს

**ტფილისში:** а) თითონ რედაქტიას, ნიკოლოვზის ქუჩაზედ, ვა-  
რანცოების ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21;  
ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხების გამავრცელებელ საზოგადოე-  
ბის“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-  
მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის  
ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРИЯ“.

რედაქტია ამასთანავე აცხადებს, რომ იყი გაზეთის გაგზავნის  
გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაში,  
ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქ-  
ტიაში და ან „წერა-კითხების გამავრცელებელ საზოგადოების“ კან-  
ცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთი წლით დიდი 10 მან., ხსხვაზ წლით — 6 მანათი.

მორბის არაგვი.

ცოცა სიჩქარით



მორ ბის ა რა გვი პა რი ლე

ა ბა გვი ა ნი თან მას ა

ან პო დე ლა მთა ნი ცე ი ა ნი ლა უა.

და შეკვერად მოუამაშებს  
გარემო თვისესა ატეხილს ჭალებს.

ჭი ადგილონო, აჯავდის პირნო,  
მოპიბინენო, უვებით მომზირნო!

ქართველისა გულმან როგორ გაუძლოს.  
ოდებს შეენება თქენი ინილოს,

რომ თქენის ბუჩქებში არა ჩამორდეს,  
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს!

როგორ იქნება, არ გაისცენოს?  
სამშეფრ ხომ მაინც გადაჲერავს ლვინოს.

ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,  
გამოიღვიებს—უებლს განიგრილებს,

ერთს ქართველურად კაჯეც შეკსძახებს—  
არავო, მაგ შენს გაშვანებულს მოებს!

და მერმე თერდაც დაუგვარდეს,  
ივი იმისა კის ალარ დაღონდეს!

ნ. ბარათაშვილი



ეროვნული  
ბიблиოთეკა